პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 221 (5022) | ორშაბათი, 27 სექტემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

აჭარის უზენაესმა სასამართლომ უკვე დაჰკითხა ზ. ლორთქიფანიძე, ჯ. ქიქავა, გ. რამიშვილი, ი. მეგრელიძე და სხვ. გამოაშკარავდა საზიზღარი ღალატის, ჯაშუშობისა და მავნებლობის სურათი. - იზრდება სახალხო რისხვის ტალღა. მთელი საქართველოს მშრომელი ხალხი მოითხოვს: სიკვდილი კონტრრევოლუციურ-ფაშისტურ ბანდას! დაუნდობლად გავსრისოთ ქვეწარმავალნი!

სიკვდილი სამშობლოს გამყიდველებს

აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო ჯაშუშურ - დივერსიული ორგანიზაციის თვითეული მონაწილის საშინელი დანაშაულობანი თავისი ცინიზმითა და სიბილწით აღემატება ყოველივეს, რაც კი ადამიანის გონებას შეუძლიან წარმოიდგინოს. სასამართლო პროცესმა ფარდა ახადა ამ გარეწართა, სამშობლოს გამყიდველთა შავბნელ ზრახვებსა და მუხანათურ ბოროტმოქმედებებს. შპიონაჟი, დივერსია, მავნებლობა, ტერორი—აი მეთოდები, რომლებსაც ფაშიზმის ეს ცოფიანი ქოფაკები აჭარის თავისუფალი ხალხის ასაწიოკებლად მიმართავდნენ.

აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც ჯაშუშმა ზ. ლორთქიფანიძემ ერთერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს დაზვერვის დავალებით შექმნა, მოქმედებდა როგორც ამ სახელმწიფოს დაზვერვის, ისე საქართველოს უკვე განადგურებული ფაშისტური ტროცკისტ-მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის პირდაპირი დავალებით. ჯაშუშ-ყაჩაღთა ეს ბანდა დაუკავშირდა აგრეთვე კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ცენტრს არამზადა სერებრიაკოვის მეშვეობით. აჭარის ჯაშუშთა ტერორისტული ორგანიზაცია შეუერთდა საბჭოთა ხალხის ყველა უბოროტეს მტერს, პირსისხლიანი ფაშიზმის დაქირავებულ აგენტებს—ტროცკისტებს, მენშევიკებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და მათთან ერთად ეწეოდა ჯაშუშურ-მავნებლურ მუშაობას.

საბჭოთა კავშირის დამარცხება ფაშისტურ-იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ომში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაზე ამ სახელმწიფოების თავდასხმის მომზადება და დაჩქარება, ომის მომენტში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, ფაშისტ-იმპერიალისტ ყაჩაღთა ხიშტებით ძალაუფლების დაპყრობა და კაპიტალიზმის რესტავრაცია—ასეთი იყო ტროცკისტულ - ბუხარინული ბანდის პროგრამა. „თანამედროვე ტროცკიზმი არის არა პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, არამედ მავნებელთა, დივერსანტთა, მზვერავთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდა, მუშათა კლასის დაუძინებელი მტრების ბანდა, რომლებიც მოქმედებენ უცხოეთის სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოების დაქირავებით“ (სტალინი). ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ აჭარის კონტრრევოლუციური ბანდის ატამანებმა—ზ. ლორთქიფანიძემ, გ. რამიშვილმა და სხვ.—მიიღეს ტროცკისტული ანტისაბჭოთა ცენტრის წარმომადგენლის სერებრიაკოვის ლოცვა-კურთხევა გამცემლური ჯაშუშურ - დივერსიულ-მავნებლური მუშაობისათვის.

აჭარაში კაპიტალისტებისა და ბეგების ძალაუფლების აღდგენა, კოლმეურნეობათა დანგრევა, ბეგებისა და კულაკებისათვის მიწების დაბრუნება, სოციალისტური ფაბრიკა-ქარხნების გადაცემა უცხოეთის კაპიტალისტებისათვის, აჭარის ხალხის ჩამოშორება საბჭოთა ხალხისაგან, რასაც მიზნად ისახავდა აჭარის ჯაშუშურ-ტერორისტულ-დივერსიული კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, სავსებით შეესაბამებოდა გერმანია-იაპონიის ფაშიზმის აგენტების — ტროცკისტ-მემარჯვენე არამზადების შავბნელ ზრახვებს.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვებამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად შექმნა ჯერ არნახული ეროვნული თანასწორობა, ყველა საბჭოთა ერის ძმური თანამშრომლობა ერთ მთლიან მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოში. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე მიღწეულია ყველა ერის ეკონომიური და კულტურული აყვავება. ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად, საბჭოთა კავშირში შემავალმა რესპუბლიკებმა გაანადგურეს ექსპლოატატორული კლასები, შექმნეს მოწინავე სოციალისტური მრეწველობა, გაატარეს დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რამაც უზრუნველყო ყოფილი ღარიბი, დაბეჩავებული გლეხობის შეძლებული, კულტურული ცხოვრება.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ორდენოსან საქართველოსთან ერთად ჩადგა საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში. საქართველოს ხალხებმა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. განმტკიცდა და გაძლიერდა საქართველოს ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობა. ტროცკისტ-ჯაშუში არამზადები, აჭარის კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაციის მონაწილენი, სოციალიზმის მიღწევებით გაბოროტებულნი, მშრომელი მასებისაგან სავსებით გარიყულნი, არაფერს ერიდებოდნენ, რომ მახვილი ჩაეცათ საქართველოს მშრომელი მასებისათვის, რომელნიც მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ, კომუნიზმისაკენ. ეს არამზადები ბითუმად და ცალობით ჰყიდდნენ საქართველოს და აჭარის მშრომელი ხალხის ინტერესებს და ლამობდნენ სისხლის მორევში ჩაეხრჩოთ მათი მონაპოვარნი. ბედნიერი, თავისუფალი სოციალისტური ქვეყანა მათ უნდოდათ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ღორის დინგის საჯიჯგნად გაეხადნათ.

ტროცკისტ - მემარჯვენეთა, ჯაშუშ-დივერსანტთა ამ ხროვის აღმოჩენა და ლიკვიდაცია მოწმობს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შეურყეველ ძლიერებას. საბჭოთა ხალხი, ისე, როგორც არასოდეს, ფოლადისებური სიმტკიცით შემჭიდროვებულია თავისი პარტიის გარშემო, კაცობრიობის უდიდესი გენიოსის, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის გარშემო. საქართველოს მუშები, გლეხები, საბჭოთა ინტელიგენცია, ისე, როგორც არასოდეს, დარაზმული არიან თავისი მშობლიური ხელისუფლების გარშემო.

საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი სოციალისტური სამშობლო. იგი არავის დაუთმობს თავის მშვენიერ მიწყალს, თავის შეძლებულ და ბედნიერ, სამამურ ცხოვრებას, საბჭოთა წმინდათა-წმინდა მიწის არცერთ გოჯს არ დაუთმობს ფაშისტ- იმპერიალისტებს. ყველა, ვინც ხელს აღმართავს დიადი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, პროლეტარული რკინის ქუსლით იქნება გასრესილი და განადგურებული.

აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილეთა გასამართლებას საქართველოს და აჭარის ყველა მშრომელი გამოეხმაურა. მშრომელი ხალხის რისხვა და გულისწყრომა თავს დაატყდა სამშობლოს გამყიდველთა ხროვას. თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, სიღნაღის, თელავის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ - ოსეთის მშრომელნი მრავალრიცხოვან მიტინგებზე უღრმეს სიძულვილსა და აღშფოთებას გამოსთქვამენ ხალხის მტრების მიმართ. მშრომელთა მოთხოვნა, ხალხის განაჩენი ერთია — სიკვდილი სამშობლოს გამყიდველებს, ჯაშუშ - დივერსანტებს, ბნელეთის მოციქულებს, ფაშიზმის ქოფაკებს, სიკვდილი ხალხის მტრებს! ხალხის ხმა მრისხანე გაფრთხილებაა ყველა მათთვის, ვინც კიდევ ოცნებობს სოციალისტური წყობილების დამხობაზე, ვინც კიდევ ოცნებობს კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლების აღდგენაზე.

მსოფლიოში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს კომუნიზმისაკენ დიადი საბჭოთა ხალხის წინსვლის შეფერხება. უძლეველია საბჭოთა ქვეყანა, უძლეველია საბჭოთა ხალხი, ვინაიდან მას ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის დიადი პარტია.

ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვი—კრასნოიარსკი

მოსკოვი, 25 სექტემბერი (საქდესი). 24 სექტემბერს საბჭოთა სასპორტო ავიაციამ ახალი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა. ამ დღეს დამთავრდა შორი ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვი-კრასნოიარსკის მარშრუტით ინჟინერ მოსკალიოვის კონსტრუქციის მსუბუქი სამგზავრო თვითმფრინავ „სამ—5-2 ბის“-ით. პირველ პილოტად ამ გაფრენაში მონაწილეობდა მფრინავი-გამომცდელი ა. ნ. გუსაროვი, მეორე პილოტად—უფროსი ლეიტენანტი ვ. ლ. გლებოვი.

საინფორმაციო ცნობა

ერევანი, 25 სექტემბერი (საქდესი). 23 სექტემბერს დამთავრა მუშაობა სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმმა დაადგინა მოხსნას სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნების პოსტებიდან ა. ამატუნი და სტ. აკოფოვი. პლენუმმა სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ა. არუთიუნიანი, მეორე მდივნად ამხ. ა. ზ. მარკარიანი, მესამე მდივნად ამხ. ა. ს. გალუსტიანი. პლენუმმა აირჩია სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხ. გ. ა. არუთიუნიანი, მ. ნ. დანელიანი, ა. ზ. მარკარიანი, ა. ს. გალუსტიანი, ლ. გ. ბარსეგიანი, მ. პაპიანი, კ. შ. გრიგორიანი, რ. ხ. ველიბეკოვი, ლ. მ. ოსეპიანი. ც. კ-ის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხ. ა. ა. კანანოვი, ი. გ. პოლოსიანი. პლენუმმა წერილი გაუგზავნა ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს.

სამშობლოს მოღალატენი, მკვლელები, ჯაშუშები და მავნებლები უნდა დაიხვრიტონ!

შეუბრალებლად გავანადგუროთ ფაშისტური არამზადები

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიტინგი გაეცნო საბრალდებო დასკვნას სამშობლოს მოღალატეთა, აჭარის კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ორგანიზაციის მონაწილეთა საქმეზე.

სიტყვებით გამოსული მუშები: მემანქანე ნ. კიკვილაშვილი, მემანქანის თანაშემწე ლოკოტკოვი, სტახანოველები — ი. მურადოვი, გ. ბერიაშვილი და სხვები ერთხმად მოითხოვენ ხალხის საზიზღარი მტრების, ფაშიზმის აგენტების — ზ. ლორთქიფანიძის, გ. რამიშვილის, ჯ. ქიქავას, გ. ლაღიძის, ი. მეგრელიძის და სხვების დახვრეტას.

—ხალხის საზიზღარი მტრები,— ნათქვამია მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — ფაშიზმის აგენტები, სამშობლოს მოღალატე-გამყიდველები — ზ. ლორთქიფანიძე, გ. რამიშვილი, ჯ. ქიქავა, გ. ლაღიძე, ი. მეგრელიძე და სხვები, რომლებსაც სურდათ მზიანი აჭარა ჩამოეშორებინათ საბჭოთა კავშირისაგან, აღედგინათ ბეგების, მოლებისა და კულაკების ბატონობა, მოეწყოთ ტერორი პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელების მიმართ, არევ-დარევა შეეტანათ კოლმეურნეობებში და შეესუსტებინათ საბჭოთა კავშირის ძლიერება, აღგვილ უნდა იქნან პირისაგან მიწისა.

მოვსპოთ ავაზაკთა ხროვა

კასპი, 25 სექტემბერი (საქდესი). კასპის რაიონის მშრომელები, გაიგეს რა ხალხის საზიზღარი მტრების, მოღალატე დივერსანტების ზ. ლორთქიფანიძის, გ. რამიშვილის, ქიქავას და სხვების საქმიანობის შესახებ აჭარაში, მოითხოვენ, რათა ჯაშუშ-დივერსანტები აღგვილ იქნენ დედამიწის პირისაგან.

ცემენტის ქარხნის სტახანოველმა ლევან ორბელაშვილმა მიტინგზე განაცხადა, რომ ჯაშუშ-დივერსანტებს ლორთქიფანიძეს, ქიქავას, რამიშვილსა და სხვებს სურდათ აჭარა ჩამოეშორებინათ საბჭოთა დიდ ოჯახისგან და აღედგინათ ბეგებისა და მოლების ბატონობა. ჩვენ სოციალისტური სამშობლოს ერთ გოჯ მიწასაც კი არავის დავუთმობთ, სიკვდილი მოღალატეებს.

მიტინგზე გამოსულებმა ერთხმად მოითხოვეს დივერსანტ მოღალატეების სიკვდილით დასჯა. მავნებელთა ლიკვიდაციის საპასუხოდ მიტინგზე გამოსულებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი, რათა გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და გეგმები შეასრულონ გადაჭარბებით.

დაე ძრწოდნენ ფაშიზმის აგენტები

ტრამვაის მეურნეობის 500-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე დაესწრო მიტინგს, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო, ჯაშუშურ - ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრთა პროცესის შესახებ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი მუშები პ. შეგიაშვილი, კ. მეგრელიშვილი, ა. ულიხანოვი, დანილოვიჩი, კარაევა და სხვ. ისინი ზიზღით იხსენიებდნენ გარეწრებს, აყვავებული სოციალისტური აჭარის გამყიდველებს, რისხვას უთვლიდნენ მათ და მოითხოვდნენ ფაშისტთა ამ ქოფაკების, ხალხის მოსისხლე მტრების—ზ. ლორთქიფანიძის, გ. რამიშვილის და სხვათა დახვრეტას.

ორატორები მოუწოდებდნენ მუშებს ერთი წუთითაც არ დაივიწყონ კაპიტალისტური გარემოცვა, დაეუფლონ ბოლშევიზმს და კლასობრივი მტრების საზიზღარ მოქმედებას უპასუხონ თავდაცვის კიდევ უფრო გაძლიერებით, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვით.

რეზოლუციაში, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული, ნათქვამია:

— ცოფიანი ძაღლები, ხალხის მოსისხლე მტრები უნდა დაიხვრიტონ. უნდა განადგურდეს ყველა ის, ვინც იბრძვის სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ და ცდილობს შეაფერხოს საბჭოთა კავშირის გიგანტური წინსვლა, დაარღვიოს საბჭოთა კავშირის ბედნიერი და სამური ცხოვრება.

დაე ძრწოდნენ ქვეწარმავალნი! მათ არ დაინდობს გამარჯვებული საბჭოთა ხალხი, გასრესს და გაამტვერებს მათ.

სასიკვდილო ლახვრით გავგმირავთ მათ შხამიან გულს

მე-2 სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი აღაშფოთა ცნობამ აჭარის დივერსანტ-მავნებელთა, ტროცკისტ-ფაშისტ ავაზაკთა, ხალხის მოსისხლე მტრების — ზ. ლორთქიფანიძის, გ. რამიშვილის, ჯ. ქიქავას და სხვების შავბნელ მოქმედებათა შესახებ.

მიტინგზე გამოსული მუშა-სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკოსები ერთხმად მოითხოვდნენ ხალხის ამ საზიზღარი მტრების გასრესას პროლეტარული რკინის ქუსლით.

— აყვავებული საბჭოთა აჭარა, ციტრუსოვანთა წალკოტი, — ამბობს მეორე სამკერვალო ფაბრიკის ორდენოსანი დირექტორი ს. ვაშაძე, —ცოფიან ძაღლებს, ჯაშუშ-დივერსანტებს უნდოდათ კაპიტალისტებისათვის მიეყიდნათ, მოლების, ბეგებისა და კულაკების სათარეშოდ გადაექციათ. ამ საზიზღართა მიმართ ჩვენი სიტყვა ერთია — სიკვდილი სამშობლოს მოღალატეთ!

— საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი მუშა-ქალები, — ამბობს სტახანოველი ქალი ამხ. მელიქოვი,—ჩვენს ქმრებთან და შვილებთან ერთად საკუთარი მკერდით დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვარს, არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში თავისი ღორული დინგი შემოჰყოს. გამოვამჟღავნებთ მტრებს, რა ფორმითაც უნდა ინიღბებოდნენ ისინი, და მათს შხამიან გულს სასიკვდილო ლახვრით გავგმირავთ.

გავსრისოთ სამშობლოს მოღალატენი

ჭიათურა, 26 სექტემბერი (ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან). გუშინ სტალინის სახელობის მაღაროს 1200-იან მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე გაეცნენ აჭარის კონტრრევოლუციურ -დივერსიული, ტროცკისტულ - ტერორისტული ჯაშუშური ორგანიზაციის წევრთა საბრალდებო დასკვნას. სიტყვით გამოვიდნენ სტახანოველები: ამხ. სამხარაძე, ბრეგვაძე, ასანიძე და სხვები. მათ ზიზღით მოიხსენიეს ხალხის საზიზღარი მტრები — ზ. ლორთქიფანიძე, გ. რამიშვილი, ჯ. ქიქავა. ლაღიძე და სხვები, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოთა აჭარაში კაპიტალისტურ - მემამულური ხელისუფლების აღდგენას. ცოფიანი ძაღლებივით უნდა გავსრისოთ ეს მოღალატენი,—განაცხადეს მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველებმა.

—მათ სურდათ საბჭოთა აჭარის დამონება ერთერთი ფაშისტური სახელმწიფოსათვის, მაგრამ საზიზღარ ჯაშუშებს დანაშაულზე წაასწრეს. მათ ვერ მოახერხეს და ვერც მოახერხებდნენ განეხორციელებინათ თავიანთი ბანდიტური ზრახვები. სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა მთელი კოლექტივი ერთსულოვნად მოითხოვს საზიზღარი არამზადების, ხალხის მოსისხლე მტრების დახვრეტას.

მრავალრიცხოვანი მიტინგები ჩატარდა აგრეთვე ლენინის, ბერიას, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, დიმიტროვის სახელობის მაღარო-ქარხნებში და რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. მიტინგებზე გამოსული მშრომელები გამოსთქვამდნენ მწვავე სიძულვილსა და ზიზღს მტრებისადმი და ერთსულოვნად მოითხოვდნენ საზიზღარი მოღალატეების დახვრეტას.

ფოლადის რკალად შემოვევლებით სოციალისტურ სამშობლოს

(თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივის მიტინგის რეზოლუციიდან)

შინსახკომის მიერ გამოაშკარავებული აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო, ჯაშუშურ - ტერორისტული, დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაცია მიზნად ისახავდა აყვავებული საბჭოთა აჭარის მოწყვეტას სსრ კავშირისაგან და კაპიტალიზმის აღდგენას. ფაშიზმის საზიზღარი აგენტის, აჭარის ცაკის ყოფ. თავმჯდომარის ზექერია ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ეს მავნებელთა ხროვა ანხორციელებდა დამარღვეველ მუშაობას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივი აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალურ საკრებულოსაგან მოითხოვს, რათა ჯაშუშ-მავნებელთა ეს ხროვა მთლიანად განადგურებულ იქნას.

ჩვენ, მუშები, პირობას ვაძლევთ ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას, რომ კიდევ უფრო გავამახვილებთ რევოლუციურ კლასობრივ სიფხიზლეს, ყოველდღიურად ავიმაღლებთ თეორიულ დონეს, შევიარაღდებით ბოლშევიზმით და პარტიის პირველ დაძახებისთანავე აღვსდგებით, როგორც ერთი კაცი, და საკუთარი მკერდით დავიცავთ, ფოლადის რკალად შემოვევლებით ჩვენს მშვენიერ სოციალისტურ სამშობლოს.

ხალხის სისხლით მოვაჭრენი

25 სექტემბერს საქართველოს მიწსახკომის მუშაკებმა განიხილეს საბრალდებო დასკვნა აჭარის კონტრრევოლუციურ - საჯანყებო, მავნებლურ - დივერსიული ორგანიზაციის წევრების — ზ. ლორთქიფანიძის, გ. რამიშვილის, ქიქავას, მეგრელიძის და სხვა ბანდიტთა საქმეზე.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკები უდიდეს აღშფოთებას გამოსთქვამდნენ ამ გარეწართა, მოღალატეთა, მშრომელი ხალხის სისხლით მოვაჭრეთა მავნებლურ-დამარღვეველი მოქმედების გამო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები ცხადაძე, დოლიძე, სკანდაროვი, კახაია და სხვები. ისინი ერთხმად მოითხოვდნენ ტერორისტ-მავნებელთა გამხეცებული ბანდის მონაწილეთა დახვრეტას.

მიწსახკომის სპეციალისტი მუშაკები მიტინგზე სიტყვას იძლეოდნენ, რომ დაუღალავად იმუშავებენ სოციალისტური სოფლის აყვავებისათვის, მავნებლობის შედეგების აღმოფხვრისა და კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განმტკიცებისათვის.

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის XX კონფერენცია

25 სექტემბერს შესდგა კონფერენციის უკანასკნელი სხდომა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ.**

კონფერენციამ მოისმინა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. პ. შულაიას მოხსენება ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პლენუმის შემადგენლობაში არჩეულია 75 წევრი და 19 კანდიდატი.

სარევიზიო კომისია არჩეულია 9 წევრის შემადგენლობით.

კომკავშირის სრულიად-საქართველოს XIII ყრილობის დელეგატებად გადამწყვეტი ხმით არჩეულია 107 კაცი და სათათბირო ხმით 11 კაცი.

როცა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კომკავშირის სრულიად-საქართველოს XIII ყრილობაზე პირველ დელეგატად არჩეულია ამხანაგი **სტალინი**, ყველა დელეგატი ფეხზე დგება და მქუხარე ოვაციას მართავს, დარბაზში გაისმის მისალმების შეძახილები და ჰქუხს „ვაშა“ და „ურა“. მთელი დარბაზი დიდხანსა და მქუხარედ უკრავს ტაშს იმას, ვისი უსაზღვროდ ერთგულია ახალგაზრდობის სტალინური თაობა, ვის გარშემოც მჭიდროდ არის დარაზმული მთელი ლენინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა. ოვაცია დიდხანს გრძელდებოდა. დელეგატებმა, კონფერენციაზე დამსწრე სტუმრებმა ცხადჰყვეს თავისი უსაზღვრო ერთგულება ლენინურ-სტალინური საქმისადმი, თავისი მზადყოფნა — გასწირონ სიცოცხლე კომუნიზმის უძლეველ საქმისათვის.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია კომკავშირის თბილისის კომიტეტის ანგარიშის გამო.

კონფერენციაზე გამოვიდა ამხანაგი **ლ. ბერია.**

კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი

25 სექტემბერს საღამოს შესდგა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. ფარული კენჭისყრით საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ამხ. მიხეილ მიხეილის-ძე რუხაძე.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივნის პირველ მოადგილედ აირჩიეს და კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების განყოფილების გამგედ დაამტკიცეს ამხ. ვარლამ ერთეოზის-ძე ცხადაძე.

მდივნის მეორე მოადგილედ აირჩიეს და პიონერთა განყოფილების გამგედ დაამტკიცეს ამხ. ილენე დავითის-ასული ჩოფიკაშვილი.

პოლიტსწავლების განყოფილების გამგედ დაამტკიცეს ამხ. აზატ ოგანეზის-ძე ბალდასაროვი.

სტუდენტთა ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ დაამტკიცეს ამხ. აკაკი ემელიანის-ძე შანიძე.

მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგიდ დაამტკიცეს ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე ტატიშვილი.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრებად აირჩიეს ა. ი. მირცხულავა, მ. მ. რუხაძე, ვ. ე. ცხადაძე, ე. დ. ჩოფიკაშვილი, პ. ტ. შულაია, ვ. ა. ხოკრიშვილი და ტ. ი. ხარშილაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ.**

სსრ კავშირის მიწსახკომისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის ვეტერინარულ სამმართველოთა მავნებლური განკარგულების გაუქმების შესახებ

მოსკოვი, 25 სექტემბერი (საქდესი). სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გააუქმა, როგორც მავნებლური, სსრ კავშირის მიწსახკომისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის ვეტერინარულ სამმართველოთა განკარგულება იმის შესახებ, რომ წითელ არმიაში გამოყენებულ იქნეს ქოთაოთი და ცხენის ინფექციური ანემიით დაავადებულ მეურნეობებში დამზადებული ფურაჟი.

სსრ კავშირის მიწსახკომის ვეტერინარული სამმართველოს უფროსის მოვალეობის ამსრულებელი ნედაჩინი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ვეტერინარული სამმართველოს უფროსი ნიკოლსკი და სსრ კავშირის მიწსახკომის ვეტერინარული სამმართველოს მუშაკი ჩერნიაკი, როგორც მავნებლური განკარგულების ავტორები, გადაყენებული არიან თანამდებობიდან და სამართალში არიან მიცემული.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტს წინადადება მიეცა, რათა ისეთი მეურნეობების მთელი მარცვალი, რომელთაც ჰყავთ მალეინიანი ან ანემიის გამო არასაიმედო ცხენები, შეინახონ სპეციალურ საწყობებში და მისი გაცემა აწარმოონ არა უადრეს 8 თვისა, მაგრამ ამ ვადის შემდეგაც არავითარ შემთხვევაში არ გასცენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მოსამარაგებლად, არამედ ჰხარჯონ ადგილობრივი საჭიროებისათვის იმავე რაიონებში, სადაც დამზადება მოხდა.

მცირე თეატრის მუშაკთა მისალმება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—
ამხანაგ სტალინს
სსრ კავშირის სახკომსაბჭო—
ამხ. მოლოტოვს
სსრ კავშირის ცაკი—
ამხ. კალინინს

დიდი სიხარულით, უდიდესი მღელვარებით აივსო ჩვენი გული, როდესაც გავიგეთ ჩვენი თეატრის ლენინის ორდენით დაჯილდოების ამბავი. პარტიისა და მთავრობის მაღალი ნდობისა და ყურადღების ეს აქტი ჩვენი მშობლიური თეატრისადმი ჩვენ მიგვაჩნია მცირე თეატრის დიდი კულტურულ-შემოქმედებითი როლის აღიარებად მისი არსებობის მანძილზე, რაც საუკუნეზე მეტს უდრის.

სცენიური რეალიზმისა და ღრმა იდეურობის ტრადიციები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ მცირე თეატრის ფუძემდებელთა და წარსულის უდიდეს ოსტატთაგან, სრულად გაიფურჩქნა მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ ლენინურ-სტალინურ ეპოქაში.

ამ დღეების განმავლობაში უძველესი რუსული თეატრი განიცდის ახალს, ნამდვილს ახალგაზრდობას, რაც გვაძლევს ჩვენ შემოქმედებით ძალებს ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების სახეების განსახორციელებლად, საბჭოთა და კლასიკური დრამატურგიის იდეათა გასაშლელად.

ჩვენ, მცირე თეატრის მუშაკები უდიდეს სიამაყეს, უდიდეს ბედნიერებას განვიცდით იმ დაჯილდოების გამო, რომელიც ჩვენ მივიღეთ ჩვენი მთავრობისაგან. მცირე თეატრის მთელი კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას, რომ დაირაზმება რა უფრო მჭიდროდ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, უფრო შეამჭიდროებს რა თავის შემოქმედებით რიგებს, მთელ თავის ძალღონეს მოახმარს მშობლიურ სოციალისტურ ხელოვნებას და სოციალიზმის ბედნიერი ქვეყნის მსახიობთა და რეჟისორთა ახალ თაობას გადასცემს მცირე თეატრის მიერ დაგროვილ ოსტატობას და მის საუკეთესო ნაანდერძევს.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტურ პარტიას და ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

(მიღებულია 1937 წ. 25 სექტემბერს სახელმწიფო აკადემიური ლენინის ორდენოსანი მცირე თეატრის მუშაკთა მიტინგზე. მიტინგს დაესწრო 900-მდე კაცი).

ამხ. გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის გაფრენა აღიარებულია მსოფლიო რეკორდად

სსრ კავშირის ა. ვ. კოსარევის სახელობის ცენტრალურმა აეროკლუბმა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის (ფაი) პრეზიდიუმისაგან მიიღო ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის ძირდაუშვებელი გაფრენა თვითმფრინავ „ანტ-25-1“-ით მოსკოვი—ჩრდილოეთის პოლუსი—სან-ჯასინტოს მარშრუტით (10,148 კილომეტრი) აღიარებულია პირდაპირი ხაზით გაფრენის სიშორის მსოფლიო და საერთაშორისო რეკორდებად (კლასი „ს“).

ტეხილი ხაზით რეკორდის რეგისტრაციისათვის საერთაშორისო საავიაციო ფედერაციამ სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბისაგან დამატებითი მასალები გამოითხოვა. (საქდესი).

აჭარის კონტრრევოლუციური სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

25 სექტემბრის დილის სხდომა

ბრალდებულ ჯ. მ. ქიქავას დაკითხვა

25 სექტემბრის დილის სხდომაზე სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

პირველად ჩვენებას იძლევა ბრალდებული ჯემალ ქიქავა. ბრალდებულის ბიოგრაფიულ ცნობებთან გაცნობის შემდეგ, სასამართლო წინადადებას აძლევს მას გადავიდეს თავისი კონტრრევოლუციურ-დივერსიული და ტერორისტულ-ჯაშუშური საქმიანობის თხრობაზე.

— კონტრრევოლუციური სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის ჩამოყალიბების ისტორია, —ამბობს ქიქავა,—მოკლედ ასეთია:

ჩვენ, ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებმა პირველად მოვილაპარაკეთ ბასილაძის ბინაზე იმის შესახებ, რომ საჭირო და აუცილებელი იყო ჩამოგვეყალიბებინა აჭარაში ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების მუშაობას. შემდეგ მეორედ გავმართეთ მოლაპარაკება ზექერია ლორთქიფანიძის ბინაზე. კონტრრევოლუციური მოლაპარაკებისა და თათბირებისათვის ყველაზე უფრო შესაფერი იყო ზექერია ლორთქიფანიძის, როგორც ცაკის თავმჯდომარის, ბინა. ეს ბინა სავსებით ხელუხლებელი იყო და კონსპირაციის მოსაზრებით უკეთესს ვერც ვიშოვიდით. ზექერია ლორთქიფანიძის ბინაზე ჩვენი მეორეჯერ შეკრების შედეგად უკვე ჩამოყალიბდა ის ორგანიზაცია, რომლის აქტიური ხელმძღვანელები დღეს აქ საბრალდებულო სკამზე ვსხედვართ.

ჩვენ თავიდანვე გადავწყვიტეთ გაგვენაწილებინა ორგანიზაციის წევრები კონტრრევოლუციური მუშაობის სახელმძღვანელოდ სხვადასხვა რაიონების მიხედვით. ასე, მაგალითად, ქედის რაიონში იყვნენ ბასილაძე და ბერიძე, ქობულეთის რაიონში — ოსმან მოწყობილი, დიასამიძე და ასე შემდეგ.

ჩვენი ორგანიზაციის იმ წევრებს, რომლებიც რაიონების ხელმძღვანელებად იყვნენ გამოყოფილნი, დავალებული ჰქონდათ ჩაეთრიათ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რაიონული მილიციის მუშაკები და სხვ. უმთავრეს ყურადღებას, რასაკვირველია ვაქცევდით ხოჯებს, რომლებიც ჩამორჩენილი რაიონების ყველაზე მიყრუებულ სოფლებში კიდევ სარგებლობენ გავლენით.

ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის გადაწყვეტილება იყო — პირველ რიგში მავნებლური მუშაობა გაგვეშალა სოფლის მეურნეობაში. აჭარის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ცხოვრობს ქალაქად და ამიტომ გასაგებია თუ რატომ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება სოფელს. სოფლის მეურნეობაში გაჩაღებულ მავნებლურ მუშაობას ხელმძღვანელობდა ზექერია ლორთქიფანიძე. ჩვენმა კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ იგი გამოჰყო ხელმძღვანელად იმ მოსაზრებით, რომ მუშაობდა ცაკის თავმჯდომარედ, კარგად იცნობდა აჭარას და როგორც ყოფილ მიწსახკომს, მას შეეძლო ყველაზე უკეთ შეესრულებინა სამავნებლო ამოცანები.

1933 წლის ბოლოს მე და სულეიმან ზაქარიაძე მოსკოვს წავედით და გადავწყვიტეთ, როგორმე მიგვეღო თანხები საგზაო მშენებლობის საჭიროებისათვის. ჩვენი მიზანი იყო მიგვეღო ეს თანხა, და საგზაო მშენებლობა მავნებლურად წარგვემართა. მოსკოვში ვინახულეთ სერებრიაკოვი, რომელიც დაგვპირდა 200 ათას მანეთს და სხვა დახმარებას. სერებრიაკოვმა გადმოგვცა ერთი მსუბუქი მანქანა, ტრაქტორი და სხვადასხვა მოწყობილობანი. ბათუმში დაბრუნების ცოტა ხნის შემდეგ მივიღეთ დეპეშა, სერებრიაკოვი გაგრაშია ჩამოსული და ისვენებსო. ამ დეპეშის მიღებისთანავე გავემგზავრე სოხუმისაკენ. იქ შევხვდი ვ. ქურდაძეს. და ადგილობრივი „გზატრანსის" წარმომადგენელთან ერთად სამნი წავედით გაგრაში სერებრიაკოვის სანახავად. შევხვდით სერებრიაკოვს, გვქონდა მასთან საუბარი მავნებლურ-დივერსიული და კონტრრევოლუციურ-ჯაშუშური საქმიანობის შესახებ. დაბრუნების წინ მე მოვიპატიჟე სერებრიაკოვი, რომ ჩამოსულიყო ბათუმში და ვენახეთ ადგილობრივ. ზექერია ლორთქიფანიძეს წინასწარ გამოვუგზავნე რადიო-დეპეშა და შევატყობინე, რომ სერებრიაკოვი მოგვყავდა გემით და სათანადოდ შეგვხვედროდა. გზაში სერებრიაკოვი ბევრს გველაპარაკებოდა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საგზაო მშენებლობას. როგორ ჩამორჩა ამ მხრივ საბჭოთა კავშირი და გამოსთქვა აზრი, რომ საგზაო მშენებლობაში საბჭოთა კავშირი ვერასოდეს ვერ დაეწევა ბურჟუაზიულ ქვეყნებს და კერძოდ ამერიკასო. შემდეგ სერებრიაკოვი გადავიდა იმის განმარტებაზე, თუ როგორ და რა საშუალებით უნდა გვეწარმოებინა მავნებლობა ამ დარგში.

1935 წელს სერებრიაკოვი ხელმეორედ ჩამოვიდა სოჭაში და შემდეგ სოჭიდან ბაგრატიონთან ერთად, ბათუმში. მაშინაც შევხვდით მას და ვესაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვაჩაღებდით კონტრრევოლუციურ მუშაობას.

ჩვენს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას, გარდა სერებრიაკოვისა, კავშირი ჰქონდა მალაქია ტოროშელიძესთან და თენგიზ ჟღენტთან. რაც დრო გადიოდა, კონტრრევოლუციურ მუშაობას უფროდაუფრო ვაჩაღებდით. ჩვენ შევუდექით აჯანყებისათვის მზადებას. რაიონებში გამოყოფილ ჩვენს წარმომადგენლებს დავავალეთ შესდგომოდნენ მოსახლეობაში საბრძოლო იარაღის აღრიცხვას, გაეშალათ პროპაგანდისტული მუშაობა და ორგანიზაციაში წევრებად ჩაებათ აქტიური პირები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ ხანებში მე და ზექერია ლორთქიფანიძემ მოვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ საჭირო იყო ჩვენი ორგანიზაციის რიცხვობრივად გაძლიერება და მასში ყველაზე აქტიური, კონტრრევოლუციურად განწყობილი პირების შეყვანა. ამ ხანებში ორგანიზაციის წევრებად მივიღეთ ოსმან მოწყობილი, სულეიმან ზაქარიაძე, დურსუნ მახარაძე და სხვ. ამავე დროს ჩვენის ინიციატივით რაიონებში ჩამოყალიბდა ადგილობრივი კომიტეტები, რომლებსაც უნდა ეხელმძღვანელნათ მთელი კონტრრევოლუციურ-მავნებლური მუშაობისათვის ამ რაიონებში. ბათუმში ასეთი კომიტეტი არ გვქონია იმიტომ, რომ აქ თვითონ ჩვენ ვხელმძღვანელობდით მავნებლურ მუშაობას და, გარდა ამისა, მრეწველობაში მავნებლობის ორგანიზაცია უფრო სხვანაირად იყო მოწყობილი, ვიდრე სოფლად. ბათუმში კონტრრევოლუციურ-მავნებლური მუშაობის ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ორ პიროვნებას — მოედინ სურმანიძის და სულეიმან ზაქარიაძეს.

ამით დამთავრდა ჩვენი კონტრრევოლუციურ-მავნებლური და დივერსიულ-ჯაშუშური ორგანიზაციის მუშაობის პირველი ხანა.

შემდეგ, 1936 წლის მარტში, შეიქმნა ბლოკი. ამ ბლოკში შედიოდნენ ადგილობრივი ტროცკისტები, ფაშისტები, მენშევიკები და ყველა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური დაჯგუფებების წარმომადგენლები. ბლოკის შექმნის შესახებ მე ზექერია ლორთქიფანიძის გადმოცემით ვიცი შემდეგი: ზექერია ლორთქიფანიძე და გიორგი რამიშვილი შეთანხმდნენ იმაზე, რომ საჭირო და აუცილებელი იყო ყველა კონტრრევოლუციური ძალის გაერთიანება. ზექერიას ბინაზე გაიმართა პირველი თათბირი, ამ თათბირზე მეც ვიყავი. იყვნენ აგრეთვე — გ. რამიშვილი, ცხოიძე, ზექერია ლორთქიფანიძე, ბერიძე, ბასილაძე და სხვ. ჩვენ აქ გადავწყვიტეთ შეგვეყვანა ამ ბლოკში ფაშისტური ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამაზე მოლაპარაკება დავავალეთ რიზა ხოზრევანიძეს. ეს ფაქტი რომ სწორია, ამას დაადასტურებს ბრალდებული გრ. ლალიძეც. რამდენიმე ხნის შემდეგ გაიმართა მეორე თათბირი, რომელშიაც ბლოკის ყველა წევრი მონაწილეობდა. აქ გამოვყავით სამხედრო კომისია, რომელიც უხელმძღვანელებდა აჯანყებისათვის მზადებას. ამ კომისიის ხელმძღვანელად მე ვიყავი გამოყოფილი. კომისიას დაეკისრა საბრძოლო იარაღის დაუყოვნებლივ აღრიცხვა.

გვაბრკოლებდა ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ ჩვენს კომისიაში არ გვყავდა სამხედრო პირი. ბევრი ვეძებეთ სათანადო კანდიდატურა და ბოლოს ამ სააჯანყებო კომისიის თათბირზე, რომელიც ბარათაშვილის სახლში შესდგა და რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობდა ფაშისტებიდან ლალიძე, გადავწყვიტეთ ხელმძღვანელად ამოგვერჩია მიხ. შავდია. ის მაშინ თბილისში მუშაობდა და ამის გამო ამ მუშაობაში მისი ჩაბმა არ მოხერხდა. შემდეგ ბლოკის სამხედრო კომისიის ხელმძღვანელობა დავაკისრეთ ყოფილ სამხედრო პირს კვალიშვილს, რომელიც ბათუმში მუშაობდა.

მავნებლური მუშაობა გაჩაღებული გვქონდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში — ვაჭრობაში, მრეწველობაში, ფინანსიურ დარგში და სხვ. მე განსაკუთრებით კარგად ვიცნობ იმ მავნებლურ მუშაობას, რომელსაც ჩვენ ვანხორციელებდით ვაჭრობის დარგში. ვმუშაობდი რა „აჭარვაჭრობაში", შემომქონდა ისეთი ასორტიმენტის საქონელი, რომელზედაც მოთხოვნილება არ იყო. გარდა ამისა, ამ საქონელს ვგზავნიდით სოფლის სავაჭრო ქსელში არა სეზონურობის, არამედ იმის მიხედვით, თუ სად უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოიწვევდით საქონლის ამა თუ იმ ასორტიმენტის გაგზავნით. შემდეგ კიდევ პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგით აჯანყების მოხდენის დროისათვის. რაიონებში გადავგზავნეთ სურსათ-სანოვაგე, რომელიც ჩვენი კონტრრევოლუციური ბლოკის წარმომადგენლებს უნდა გამოეყენებინათ აჯანყების დროს.

მიმდინარე წლის 20 ივნისიდან მე ფაქტიურად ჩამოვშორდი ამ საქმიანობას. ამ რიცხვში გავემგზავრე მოსკოვს და დავბრუნდი თუ არა 13 ივლისს, დამაპატიმრეს.

ახლა მე მინდა უკანასკნელად ვისურვო მხოლოდ ის, რომ აჭარის მშრომელმა ხალხმა გაიგოს, თუ რას ვუმზადებდით ჩვენ მას და გაეცნოს იმ შავბნელ გზას, რომლითაც ვუპირებდით წაყვანას აჭარის მშრომელთ.

თავმჯდომარე — ბრალდებულო ქიქავა, მოახსენით სასამართლოს, რა შინაარსისა იყო ის პეტიცია, რომელიც თქვენ დასწერეთ.

ქიქავა — პეტიცია დავწერეთ მე, ხასან ლორთქიფანიძემ და ზექერია ლორთქიფანიძემ. მისი დაწერა დაგვავალა უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელმა, რომელთანაც ჩვენ უშუალო კავშირი გვქონდა.

თავმჯდომარე —, რა შინაარსისა იყო ეს პეტიცია?

ქიქავა — ომის გამოცხადებისთანავე, — ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ომი აუცილებლად იქნებოდა,—მოვაწყობდით აჯანყებას. აჯანყების დროს ჩვენ, ამ დაზვერვის წარმომადგენლის რჩევით, უნდა მიგვემართნა ერთა ლიგისათვის პეტიციით იმის შესახებ, რომ ვაცხადებთ აჭარას „დამოუკიდებელ რესპუბლიკად" და მოვითხოვთ დახმარებას.

თავმჯდომარე—მაშასადამე, თქვენ გექნებოდათ „დამოუკიდებელი რესპუბლიკა". მეჯლისის თავმჯდომარედ ვინ იყო წარდგენილი?

ქიქავა — მე და აბაშიძე.

თავმჯდომარე — მოახსენეთ სასამართლოს: თქვენ, ბრალდებულო ქიქავა, პირადად რამდენი მიიღეთ ფულად უცხოეთის დაზვერვის წარმომადგენლისაგან.

ქიქავა—5.000 მანეთამდე საბჭოთა ვალუტით, 500 დოლარი და 250 ლირა. ფული გადმომცეს ოსმან ლორთქიფანიძის მეშვეობით.

შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვების პასუხად ბრალდებულმა ქიქავამ აღნიშნა, მავნებლობის გეგმა, რომელიც ჩვენ წინასწარ გვქონდა შემუშავებული, თითქმის მთლიანად სრულდებოდა. შემდეგ ბრალდებულმა ჩამოთვალა კონტრრევოლუციურ-მავნებლური ბლოკის შემადგენლობა, დაასახელა ის პირები, ვინც ამ ბლოკში შედიოდა და აღნიშნა, რომ ბლოკის წევრები, კონსპირაციის მიზნით, ერიდებოდნენ მიწერ-მოწერისა და სხვა დოკუმენტების შენახვას. ამიტომ ბლოკის თათბირები ისე მიმდინარეობდა, რომ ოქმებიც არ იწერებოდა. ბლოკის ჩამოყალიბების შემდეგ, როგორც ეს სახელმწიფო ბრალმდებელ ამხ. ი. კაპანაძის შეკითხვებზე ბრალდებულის მიერ გაცემული პასუხიდან გამოირკვა, მოაწყეს მხოლოდ ორი სხდომა. ამ სხდომებზე ბლოკმა გამოჰყო სხვადასხვა სექციები: ტერორისტული სექცია, რომელსაც გ. ლალიძე მეთაურობდა, ხოლო წევრებად იყვნენ ბასილაძე და სხვები, სამხედრო სექცია, რომელშიაც შედიოდნენ გოგიბერიძე, პ. საბაშვილი, ზექერია ბერიძე და თვით ბრალდებული ქიქავა, დივერსიული სექცია ცხოიძის, სურგულაძის და სხვ. შემადგენლობით, მავნებლობის სექცია და ასე შემდეგ.

კითხვა-პასუხიდან გამოირკვა, აგრეთვე, რომ ბლოკის ერთერთ ორგანიზატორს და ხელმძღვანელს ზექერია ლორთქიფანიძეს მიღებული ჰქონია მავნებლურ-კონტრრევოლუციური მუშაობის გასაჩაღებლად 70 ათასი მანეთი. ამ ფულს ზექერია ლორთქიფანიძე ხარჯავდა თავისი შეხედულების მიხედვით ისე, რომ ანგარიშს არავის აბარებდა. ბრალდებულმა ზექერია ლორთქიფანიძემ დაადასტურა, რომ იგი ანგარიშს არავის აბარებდა, მაგრამ მიღებულ თანხას ორგანიზაციის წევრთა შორის ისე ანაწილებდა, რომ ბლოკის შემადგენლობამ ეს იცოდა.

შემდეგ ბრალდებულმა ქიქავამ უამბო სასამართლოს, რომ უკანასკნელ ხანებში მათ აქტიური მუშაობა გააჩაღეს იარაღის შესაძენად. პირველ რიგში მოახდინეს მოსახლეობაში არსებული იარაღის აღრიცხვა და გაიგეს, თუ საჭიროების დროს რომელ რაიონში რა იარაღს და რა რაოდენობით იშოვნიდნენ. მონადირეთა კავშირის ყოფ. თავმჯდომარეს მემედ აბაშიძეს, დაავალეს, რომ მას მონადირეთა კავშირის წევრები მოემარაგებინა სასროლი იარაღით. შემდეგ ბრალდებულმა ქიქავამ უამბო სასამართლოს, თუ რა შინაარსისა იყო ბლოკის მიერ დამუშავებული აჯანყების გეგმა. პირველ რიგში მათ განზრახვა ჰქონიათ, გამოცხადდებოდა თუ არა ომი, მოეწყოთ აჯანყება. აჯანყების ნიშანი მიცემული უნდა ყოფილიყო ბათუმიდან. პირველ რიგში აჯანყებულებს უნდა დაეკავებინათ კავშირგაბმულობის დაწესებულებები და გაენადგურებინათ სანაპირო დაცვის რაზმი, საამისოდ მათ დიდი ხნის მზადება ჰქონდათ და დაწვრილებით იცოდნენ, თუ რა ძალები ჰყავდა საბჭოთა ხელისუფლებას სანაპიროების დასაცავად. ამავე დროს კონტრრევოლუციური ბლოკის გადაწყვეტილებით უნდა აეფეთქებინათ გვირაბი რკინიგზაზე, რომ მთავრობას აჯანყების ჩაქრობის საშუალება აღარ ჰქონოდა.

ბოლოს, სახელმწიფო ბრალმდებლის და დამცველთა კოლეგიის წევრების შეკითხვების პასუხად ბრალდებულმა ქიქავამ დაწვრილებით განმარტა ის მეთოდები, რომლებითაც კონტრრევოლუციურ-მავნებლური და დივერსიულ-ჯაშუშური ორგანიზაციის ხელმძღვანელები იბირებდნენ ახალ წევრებს.

— ეს იყო, — განაგრძო ქიქავამ. — დარწმუნების, აგიტაციის, დაშინებისა და მოსყიდვის მეთოდი. როცა შესაძლებლობა გვქონდა, ვსარგებლობდით აგრეთვე პირადი მდგომარეობითაც და ვცდილობდით ჩაგვება კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ჩვენი თანამშრომლებიც. როცა შევნიშნავდით, რომ რომელიმე მათგანი არ გამოგვადგებოდა, მას გვერდს ვუვლიდით და ვცდილობდით თავიდან მოგვეშორებინა.

ბრალდებულ გ. ე. რამიშვილის დაკითხვა

ბრალდებულმა გ. ე. რამიშვილმა საბრალდებო დასკვნის ტექსტის მიხედვით თავი დამნაშავედ სცნო.

თავმჯდომარე — ბრალდებულო რამიშვილო, მოახსენეთ სასამართლოს თქვენი კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ფაშისტურ-დივერსანტული მუშაობის შესახებ.

რამიშვილი — კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ-ტერორისტულ მუშაობაში მე ჩავები ბუდუ მდივნის მეოხებით 1934 წლის დამლევს. პოლიტიკურად საკმაოდ მომზადებულად მიმაჩნია ჩემი თავი და ბუდუ მდივანს არ შეეძლო კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩემი ჩაბმა, რომ ეს თვითონ მე არ მნდომებოდა. მე და მდივანმა მალე გამოვნახეთ საერთო ენა. მდივანმა დამავალა დავკავშირებოდი აჭარის კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ ორგანიზაციას. ჩვენი კონტრრევოლუციური სააჯანყებო ორგანიზაციის მთავარ ამოცანას შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრა, მისი დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა. ბუდუ მდივანისაგან მე ვღებულობდი დავალებებს და თანდათან ვატარებდი მათ. ეს დავალებები უმთავრესად ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მავნებლობის გაძლიერებას. ჩვენ უნდა მოგვეხდინა ტერორისტული აქტები საბჭოთა კავშირის საუკეთესო შვილების მიმართ, გაგვეწია ჯაშუშობა და დივერსიები საბჭოთა ქვეყნის ძლიერების შესუსტების მიზნით.

ბუდუ მდივნის ფაშისტურ დავალებათა შესრულებას მე 1935 წლის დასაწყისში შევუდექი. პირველ რიგში დავიწყე კადრების გამოძებნა მავნებლური მუშაობისათვის უმთავრესად ჩვენ ვირჩევდით მსხვილ საწარმოებს. ნიშანში ამოვიღეთ ბათუმის ნავთსახდელი ქარხნები, მაგრამ ბუდუ მდივანმა შემაჩერა, რადგან ამ ქარხნებში მოკალათებული იყვნენ ბაქოს კონტრრევოლუციურ ჯაშუშური ორგანიზაციის წევრები, რომლებიც უკვე ეწეოდნენ დამანგრეველ მუშაობას. ამის შემდეგ მე დავუკავშირდი ბათუმის ფეხსაცმლის, სამკერვალო, ტყავისა და სხვა მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელთ. მივეცი მათ დავალება ჩაეშალათ გეგმა, გაედიდებინათ წუნი და ძირი გამოეთხარათ წარმოებისათვის. მუშებში უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით მათ უნდა დაემახინჯებინათ ხელფასის პოლიტიკა. ჩემი დავალების გატარებამ ჩვენთვის, კონტრრევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაციის წევრებისათვის, კარგი ნაყოფი გამოიღო. სამკერვალო ფაბრიკაში გეგმა ჩაიშალა, გადიდდა წუნი. ასეთსავე მდგომარეობაში ჩავაყენე ტყავისა და ფეხსაცმლის ქარხანა.

ნავსადგურში მავნებლური გეგმის გატარების მიზნით მე დავუკავშირდი საექსპორტო-საიმპორტო დარგის უფროსს ჯღარკავას, ჩავითრიე ის მუშაობაში და მივეცი მთელი რიგი დავალებანი. ჩემი დავალებით საექსპორტო საქონელს გზავნიდნენ არა სწორი მისამართით, ურევდნენ მარკებს. ამის გამო საქონელი გზაში ფუჭდებოდა და ქვეყნის თვალში სახელი უტყდებოდა საბჭოთა კავშირში დამზადებულ საქონელს. საამშენებლო თანხების უთავბოლოდ გამოყენება, ბიუჯეტის დაქსაქსვა, მასალების გაფუჭება შეადგენდა ჩვენს ერთერთ მიზანს, რომელსაც ქალაქში მშენებლობის ჩაშლისათვის ვანხორციელებდით და ამით ხელს ვუშლიდით საწარმო-დაწესებულებათა მუშაობას. ელსადგურებში ხშირად ვაწყობდით ავარიებს. კონტრრევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაციის წევრის ეგ. სიხარულიძის საშუალებით დიდ მავნებლობას ვატარებდი ქალაქის კოოპერაციაში. კოოპერაციაში მავნებლობა გამოიხატებოდა გეგმის შემცირებით და ბაზარზე უხვად ისეთი საქონლის გამოტანით, რომლის მოთხოვნილებაც არ იყო. სიხარულიძემ არტელში მოაწყო მის მიერ გადაბირებული პიროვნებები, რომლებმაც დიდძალი ქონება დაიტაცეს.

მე მუშაობაში ჩავაბი სამომხმარებლო-კოოპერატიული კავშირის ყოფილი თავმჯდომარე აგანჯანოვი და საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი მანაგაძე. აგანჯანოვი ჩემი დავალებით სავაჭრო წერტებში არ გზავნიდა საქონელს, ანიავებდა თანხებს, და დაბალი ხარისხისა და არასეზონური ტანისამოსი გამოჰქონდა მაღაზიებში.

კონტრრევოლუციურ ფაშისტურ ორგანიზაციაში მევე ჩავაბი სახბანკის ყოფილი მმართველი ინწკირველიც. მას დავავალე სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციების არასწორად დაკრედიტება. დაფინანსების მხრივ უპირატესობა მივანიჭე იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც სათავეში ედგნენ კონტრრევოლუციონერ-ტერორისტები. მაგალითად, აგანჯანოვი ღებულობდა დიდ თანხას და უსისტემოდ ანიავებდა. კომუნალური ბანკის მმართველი ივ. სურგულაძე ჩემი დავალებით სუსტ კონტროლს უწევდა სასამშენებლო ორგანიზაციებს, დაუდევრად ეპყრობოდა თანხებს, რამაც მთელ რიგ ობიექტებზე გამოიწვია დიდძალი თანხის გადახარჯვა.

ახლა მინდა ვილაპარაკო სოფლის მეურნეობაში წარმოებული მავნებლობის შესახებ. სანამ ბლოკს შევკრავდით, მანამ ვიცოდი, რომ აჭარის სოფლებში დიდ მავნებლობას ეწეოდა აჭარის სააჯანყებო-დივერსიულ-კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაცია. ტროცკისტულ-დივერსიულმა ორგანიზაციამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, დაიწყო მავნებლური მუშაობა სოფლის მეურნეობაში. მე დაკავშირებული ვიყავი საბჭოთა მამულის ყოფილ დირექტორთან დ. ლორთქიფანიძესთან, რომელიც ზუსტად ასრულებდა ჩემს დავალებებს. ჩემს მავნებლურ და დამანგრეველ მითითებებს ატარებდნენ აგრეთვე მიწსახკომის ყოფილი სახალხო კომისარი ილიას მეგრელიძე და მისი მოადგილე ძნელაძე. 1936 წელს კონტრრევოლუციურ-დივერსიულ ორგანიზაციაში ჩავაბი საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის ყოფილი მდივანი გ. ნუცუბიძე, აგრეთვე ქ. ბათუმის პარტ. კომიტ. მდივნის ყოფილი მოადგილე რამიშვილი. მათ დავავალე სოფლის მეურნეობის ძირგამოთხრა ჩაის ხაზით. ჩაის პლანტაციებში სასუქი შეჰქონდა მავნებლური წესით. ჩავშალე ჩაის კრეფის ახალი მეთოდის გატარება. ციტრუსების ხაზით მავნებლობა გამოიხატებოდა სასუქის დაგვიანებით შეტანასა ან სრულ შეუტანლობაში, დაგვიანებით შეწამლვასა და ნერგის გაფუჭებაში.

როგორც განაპირა რაიონებს, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქედას და ხულოს, სადაც ფეხი მოიკიდა თამბაქოს კულტურამ. ჩვენი მავნებლურ-ჯაშუშური ორგანიზაცია დაინტერესდა ხსენებულ რაიონებში კოლმეურნეობების ჩაშლით და თამბაქოს კულტურის განდევნით. თამბაქოს კულტურის სახელის გატეხის მიზნით ნიადაგი ადრე არ მოვახვნევინეთ. რამაც შეამცირა მოსავლიანობა და კოლმეურნეობებს შემოსავალი დააკლდათ.

გარდა ამისა, ვარგვიანებდით მოუმწიფებელ ნერგს, ანდა პირიქით. ეს უკანასკნელი დავალება მივეცი ძნელაძეს, რომელმაც იგი პირნათლად შეასრულა.

ყოველივე ამას იმიტომ ვატარებდით, რომ მშრომელებში გამოგვეწვია უკმაყოფილება და უკმაყოფილო ელემენტები გამოგვეყენებინა ჩვენი შავბნელი ზრახვებისათვის, აჯანყებისათვის.

ზექერია ლორთქიფანიძემ მითხრა, აჯანყების მომენტში ჩვენ დაგვეხმარება უცხოეთის ერთერთი ფაშისტური სახელმწიფო. ზექერია ლორთქიფანიძის ლაპარაკიდან მივხვდი, რომ ის ყოველივე ამას იმისათვის აკეთებდა, რომ აჭარა ჩამოეცილებინა საქართველოსაგან. ამის შესახებ თბილისში ყოფნის დროს მივმართე კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის სულისჩამდგმელს ბუდუ მდივანს. ბ. მდივანს გაეცინა და მითხრა, ჩვენ გამოვიყენოთ ისინი (აჭარის სააჯანყებო კონტრრევოლუციურ-დივერსიული ორგანიზაცია), ხოლო რაც შეეხება აჭარის ჩამოშორებას საქართველოსაგან, ეს შეუძლებელია, ამაზე ჩვენ მოლაპარაკება გვაქვს უცხოეთის ერთერთ სახელმწიფოსთან და ის დაგვეხმარება. ამრიგად მოხდა შეთანხმება კონტრრევოლუციურ ტროცკისტებსა და აჭარაში აჯანყების მომწყობ ორგანიზაციას შორის. თვალთმაქცები ერთმანეთშიც ვთვალთმაქცობდით. ჩვენი სხდომები უმთავრესად იწვეოდა ან ჩემთან, ანდა ზ. ლორთქიფანიძის კაბინეტში. კონსპირაციის დაცვის მიზნით გაფართოვებულ თათბირებს არ ვიწვევდით.

მე ვცდილობ გულახდილი ვიყო სასამართლოს წინაშე და მინდა ჩემი სიტყვები გაიგონ აჭარელმა მშრომელებმა. რომლებსაც ჩვენ სამარეს ვუთხრიდით.

ჩვენს მიზანს შეადგენდა პატიოსან მშრომელთათვის დაგვებრუნებინა შავი წარსული, შიმშილი, ტანჯვა და მონობა. სხდომებზე ლაპარაკი გვქონდა შეიარაღებულ აჯანყების მოწყობის შესახებ. განვიზრახეთ მწვანე კონცხის გვირაბის აფეთქება. გერმანე მგალობლიშვილის და ბუდუ მდივნის დავალებით მოვაწყეთ ტერორისტული ჯგუფები. უნდა მოგვეხდინა ტერორისტული აქტი საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას მიმართ.

უმძიმეს დანაშაულად მიმაჩნია ის, რომ გავყიდე სამშობლო, დავუკავშირდი უცხოეთის ერთერთ სახელმწიფოს დაზვერვას და ვემსახურებოდი მას.

თავმჯდომარე — რა შეადგენდა თქვენი კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის მიზანს?

რამიშვილი — როგორც მოგეხსენებათ, კაპიტალიზმის აღდგენა, სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მონებად გადაქცევა, ომით და ინტერვენციით მშრომელთა ფიზიკურად განადგურება.

კაპანაძე — როგორ და რა მეთოდით იბირებდით წევრებს?

რამიშვილი — მერყევ და უკმაყოფილო ელემენტებთან ვამყარებდით კავშირს, ვებულობდით მათ წარსულს და შემდეგ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას და ვაბამდით დივერსიულ-ტერორისტულ ორგანიზაციაში.

კაპანაძე — როგორ გადაიბირეთ ილიას მეგრელიძე?

რამიშვილი — დახმარების სახით მივეცი მას 2.500 მანეთი და შემდეგ მოველაპარაკე და კიდევაც ჩავაბი კონტრრევოლუციურ-დივერსიულ ორგანიზაციაში.

კაპანაძე — დაასახელეთ ის პირები, რომლებიც თქვენ ჩააბით კონტრრევოლუციურ-ჯაშუშურ მუშაობაში.

რამიშვილი — (კითხულობს სიას) ილიას მეგრელიძე, დ. ძნელაძე, ინწკირველი, მაჩხულიანი, ნუცუბიძე, ცანიშვილი, ს. ლორთქიფანიძე, მ. ჭელიძე, გრ. ბუკია, სერგო მანაგაძე, ოსმან მოწყობილი, სანდრო ჯორბენაძე, შერიფ ქიქავა, აივაზოვი, მკრტიჩანცი და კიდევ 4 კაცი, რომელთა გვარებს ვერ გეტყვით.

კაპანაძე — თბილისში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ გქონდათ თუ არა კავშირი აჭარის კონტრრევოლუციურ-დივერსიული ორგანიზაციის წევრებთან?

რამიშვილი — კავშირი მქონდა მხოლოდ ბუდუ მდივანთან. მავნებლურ ორგანიზაციაში ახალი წევრების ჩაბმა კი ვერ შევძელი

ბრალდებულ ილიას მეგრელიძის დაკითხვა

თავმჯდომარე — ბრალდებულო ილიას მეგრელიძე, მოახსენეთ სასამართლოს, როდის, როგორ და რა პირობებში აწარმოებდით მავნებლურ მუშაობას და რა ჩვენება შეგიძლიათ მისცეთ ამის შესახებ სასამართლოს.

ბრალდებული ი. მეგრელიძე—1935 წლის ზაფხულზე მე და გ. რამიშვილს შორის გაიმართა საუბარი იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა არაა მოსაწონი და სხვ. რამიშვილთან მე კარგი დამოკიდებულება მქონდა. რამიშვილმა დახმარების სახით მომცა 2.500 მანეთი და ამით ჩემი გული მოიგო. ამაზე წინ, 1935 წლის ზაფხულის მიწურულს, რამიშვილი მელაპარაკებოდა რომ ჩვენი საკოლმეურნეო მშენებლობიდან არაფერი გამოვა, რომ კოლმეურნეობები აჭარაში ვერ ხეირობენ და ვერც იხეირებენ, და რომ აჭარაში ამჟამად ისეთი პირობებია, რომ ცხოვრება ჭირსო. მე მას დავეთანხმე ყველაფერში და ამით გათამამებულმა გიორგი რამიშვილმა შემდეგ მიამბო, რომ ევროპაში ფაშიზმი იმარჯვებს, ხოლო ფაშიზმი საბჭოთა ხელისუფლების არსებობას ვერ მოითმენს და ბურჟუაზიული ქვეყნები აუცილებლად გამოუცხადებენ ომს საბჭოთა კავშირს. რაკი რამიშვილი მიხვდა, რომ მე არ ვიყავი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი, მომიწოდა აქტიური მონაწილეობა მიმეღო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან ამასთანავე მითხრა, რომ ბათუმში მუშაობს ტროცკისტული ორგანიზაცია, რომელიც საჭიროებს ჩემისთანა ენერგიულ პირებს და მიმიწვია ტროცკისტულ ორგანიზაციაში სამუშაოდ. მე დავეთანხმე.

შემდეგ გიორგი რამიშვილმა გამაცნო ტროცკისტული ორგანიზაციის დანარჩენი წევრები — პარმენ ცხოიძე, ივლიანე სურგულაძე და სხვები და იქვე მითხრა, რომ აჭარლებიდან ტროცკისტულ ორგანიზაციაში მე პირველი ვიყავი. ტროცკისტულმა ორგანიზაციამ დამავალა კონტრრევოლუციურ მუშაობაში ჩამება სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტები და სხვა პირები. მაშინ მე აჭარის მიწსახკომი ვიყავი, ხოლო ჩემს მოადგილედ იყო დავით ძნელაძე. მე ვიცოდი, რომ დავით ძნელაძე უკმაყოფილო ელემენტი იყო და დიდი შრომა არ დამჭირებია მის გადმოსაბირებლად.

ტროცკისტული ორგანიზაციის წევრებმა მავნებლური მუშაობის გასაჩაღებლად გავინაწილეთ აჭარის რაიონები. მე უნდა მეხელმძღვანელა მთელი იმ მავნებლური მუშაობისათვის, რომელსაც ჩვენ სოფლის მეურნეობაში ვატარებდით, ან ჩავატარებდით ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში. ძნელაძე კი უხელმძღვანელებდა მთიან რაიონებში წარმოებულ მავნებლურ მუშაობას. კონტრრევოლუციურ საქმიანობაში მალე ჩავაბით ხულოს რაიმიწგანის გამგე გამრეკელიძე, ბათუმის რაიმიწგანის გამგე მეავანაძე, რომელიც ერთ დროს ჩემთან ერთად მუშაობდა ახალგაზრდა მარქსისტებში, და მთელი რიგი სპეციალისტები, რომლებსაც მე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ დირექტივებს კი ვაძლევდით, თუ სად და როგორ განეხორციელებინათ მავნებლური აქტები.

ციტრუსოვანთა კულტურების გასანადგურებლად ჩვენ შევიმუშავეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, მიმართული იქით, რომ ნერგები გამხმარიყო, ჩაის პლანტაციები განადგურებულიყვნენ, და საამისოდ ჩვენს წარმომადგენლებს ადგილებზე ვაძლევდით სათანადო მითითებებს.. მაგალითად, სალიბაურში ჩვენმა წარმომადგენელმა ტროცკისტმა-მავნებელმა ჭყონიამ დარგო 1.000 ძირი ციტრუსოვანი, მაგრამ დარგო ისე, რომ მათი დიდი ნაწილი სრულიად განადგურდა. მეორე ადგილას 13.000 ნერგიდან განადგურებული და ამოსათხრელი გახდა 9.000 ძირი.

ჩვენი ღონისძიებანი მიმართული იყო იქით რომ გაგვებათილებინა ყველა ის ზომა, რასაც მთავრობა ღებულობდა მოსავლიანობის გასადიდებლად, შეძლებული და საამური ცხოვრების დასამკვიდრებლად აჭარის სოფლებში. მაგალითად, სადირექტივო ორგანოების დავალებით მიწსახკომის ორგანოებს უნდა განეხორციელებინათ მთელი რიგი ღონისძიებები ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გასადიდებლად. ჩვენ შევეცადეთ და შევძელით სადირექტივო ორგანოების არცერთი ეს მითითება არ შეგვესრულებინა. ნიადაგის განოყიერებას ვახდენდით ყალბად, ძველ ნარგავთა ბუდნებს ვაწყობდით ისე, რომ ნარგავები გამხმარიყვნენ, ვაშენებდით ჯებირებს სრულიად უვარგისი მასალიდან, განზრახ დავაგვიანეთ ნაკელის მოზიდვა და განაწილება, აგრეთვე მივიღეთ ზომები იმისათვის, რომ ციტრუსები შეგვეწამლა არა იმ წამლით, რომლითაც ეს საჭირო იყო, არამედ სხვა სუროგატული წამლით. ვცვლიდით წამლის დოზას. საქართველოს მიწსახკომიდან — მათიკაშვილისაგან ჩვენ მივიღეთ ციტრუსოვანთა შესაწამლავი ხსნარის რეცეპტი, რომელიც თურმე მავნებლურად იყო შედგენილი. პირველ ხანებში ჩვენ ეს ვერ გავიგეთ, მაგრამ როგორც კი მივხვდით, რომ რეცეპტი მავნებლურადაა შედგენილი, იმ წამსვე შევუდექით ამ დირექტივის განხორციელებს.

კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" ნერგები ბორდოს სითხის მაგიერ შევწამლეთ „პარიზის მწვანით". „პარიზის მწვანეს" ციტრუსოვანთა ფოთოლი ვერ იტანს და შესხურების შემდეგ მალე ილუპება. ჩვენც ეს ღონისძიება განვახორციელეთ სწორედ იმ მიზნით, რომ ამით გვევნო სახალხო მეურნეობისათვის. უნდა აგვეშენებინა აგრეთვე ფარდულები ზამთარში ციტრუსოვანთა ნერგების შესანახად. საჭირო საშენი მასალის მომარაგება მთავრობის ორგანოების მიერ დავალებული ჰქონდა გიორგი რამიშვილს. რამიშვილმა მასალა არ მოიმარაგა, ფარდულების მშენებლობა ჩაიშალა და ზამთარში 60 ათასი ძირი ნერგი ცის ქვეშ დარჩა. დიდი უმეტესობა აქედან გაფუჭდა, მაგრამ ჩვენ ამით არ დავკმაყოფილდით და გადავწყვიტეთ ამასთან ერთად მეორე ამოცანაც შეგვესრულებინა: ის თანხა, რომელიც გადადებული იყო ფარდულების ასაშენებლად, ტროცკისტული ორგანიზაციის დადგენილებით უნდა გაგვენიავებინა ისე, რომ მთავრობას საბაბი არ ჰქონოდა ამისათვის ჩვენი პასუხისგებაში მიცემისა. დავიხვიეთ რა ხელზე ის გარემოება, რომ ნერგები ზამთარში სიცივეში გაფუჭდებოდა, მივიღეთ თანხმობა, რომ ნერგების ახლოს ცეცხლი აგვენთებინა და სხვ. ცეცხლს ვაბოლებდით ისე, რომ ნერგებს ეს არ იფარავდა სიცივისაგან. ამ საქმეზე დავხარჯეთ თანხა. რომლის ნახევარიც კი საკმარისი იქნებოდა ფარდულების ასაგებად.

ჩაის დარგში ჩვენ კიდევ უფრო ფართოდ გავშალეთ მავნებლური მუშაობა. პლანტაციებს ვტოვებდით გაუთოხნავს, რის წყალობითაც დიდძალი პლანტაცია დაზიანდა კოროვის, კოსიორის, მარქსის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. ვაწარმოებდით აგრეთვე მინერალური სასუქის მავნებლურად გამოყენებას. ნიადაგში შეგვქონდა გაფუჭებული სასუქი, ადგილ-ადგილ კი სულაც არ შეგვქონდა, ვარღვევდით აგროწესებს და ამგვარად გაწეული ხარჯი ფუჭი ხდებოდა. განსაკუთრებით ბევრი რამ გავაკეთეთ ჩაის კრეფის ჩასაშლელად. სწორედ მაშინ, როცა ჩაის კრეფის სეზონი არის ხოლმე, კოლმეურნეობებიდან მუშებს ვისტუმრებდით შვებულებაში, კოლმეურნეებს საშუალებას ვაძლევდით თავი აერიდებინათ მუშაობისთვის და, გარდა ამისა, შემოვიღეთ ჩაის კრეფის მავნებლური მეთოდი. ნორმალურ ფოთოლთან ერთად ჩვენ ვაკრეფინებდით ნაზ ფოთოლსაც. ნაზი და ნორმალური ფოთლის ერთმანეთში არევით კი ჩაის ხარისხი კლებულობს, გამოსავლიანობა მცირდება და ამასთან შეფარდებით მცირდება შრომადღის ღირებულებაც. კოლმეურნეები ვერ მიგვიხვდნენ ოინებს და, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათთვის ხელსაყრელი არ იყო, მაინც ასრულებდნენ ჩვენს მითითებებს და მავნებლურად ჰკრეფდნენ ჩაის. ჩაის პლანტაციები რომ სრულ განადგურებამდი მიგვეყვანა, გადავწყვიტეთ ჩამოთვლილ ღონისძიებებთან ერთად გვეწარმოებინა ახალი პლანტაციების მავნებლურად გაშენება. ამისათვის დაწესებული ნორმის—25 სანტიმეტრის ნაცვლად პლანტაციებზე კვალი გავყავდა 10-15 სან. სიღრმეზე. კოლმეურნეები ასეთ ღონისძიებას სიამოვნებით შეხვდნენ, რადგან არ იცოდნენ ჩვენი განზრახვა და ამასთანავე უმცირდებოდათ შრომა, მაგრამ ჩვენ კი ვიცოდით, რომ ასეთი წესით გაშენებული პლანტაცია მოგვცემდა ძალიან მცირე მოსავალს, იგი რამდენიმე წელიწადში სრულიად მოუსავლიანი გახდებოდა და გაწეული შრომა და დახარჯული თანხა ფუჭად ჩაივლიდა.

როგორც აღვნიშნე, თამბაქოს მეურნეობაში მავნებლურ საქმიანობას ხელმძღვანელობდა დ. ძნელაძე, თუმცა ამ მავნებლური საქმიანობის კურსში მეც ვიყავი. რას ჩავდიოდით იმისათვის, რომ ხალხში უკმაყოფილება შეგვექმნა და ამავე დროს ჩაგვეშალა სახელმწიფო გეგმა? გეგმებს ვანაწილებდით მექანიკურად. მაგალითად: დავავალებდით „ტოზებს", რომ მათ დაერგოთ თამბაქო 5 ჰექტარზე, რამდენიმე ხნის შემდეგ მივცემდით ახალ დავალებას და ვეტყოდით, რომ მათ თამბაქოს პლანტაციები უნდა გააშენონ არა ხუთ, არამედ ათ ჰექტარზე, და თუ არ გააშენებდნენ, ვიმუქრებოდით ადმინისტრატიული სასჯელით. ორმაგად ვუდიდებდით გეგმებს ინდივიდუალურ მეურნეობებსაც და ხალხში, მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას ვიწვევდით.

გარდა ამისა, ადგილებზე ვგზავნიდით ნარევ თესლს. ტრაპიზონის თესლს ვგზავნიდით იმ რაიონში, სადაც სამსუნის თესლი უნდა გაგვეგზავნა, და პირიქით.

ბევრი რამ ვავნეთ ქვეყანას მეხილეობის და მევენახეობის დარგშიც. მაგრამ განსაკუთრებით ბევრი ვიმუშავეთ მესაქონლეობის დარგში მავნებლობის მხრივ. ჯიშიან საქონელს ვანაწილებდით არასწორად, ვანხორციელებდით ისეთ ღონისძიებებს, რომელთა შედეგად საქონლის სიკვდილიანობა დიდ პროცენტს აღწევდა, ვშლიდით მესაქონლეობის ფერმებს, ვღებულობდით ზომებს, რომ ნამატი დაღუპულიყო და სხვ.

(დასასრული IV. მე-3 გვ.)

აჭარის კონტრრევოლუციური სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

(გაგრძელება)

ამავე დროს ვეწეოდით აგიტაციას საკოლმეურნეო ფერმების სალიკვიდაციოდ. კოლმეურნეებს ვეუბნებოდით:—რატომ ამრავლებთ საქონელს, საკვები ბაზა არა გვაქვს, საქონელი ხომ შიმშილით დაგეხოცებათო. გაყიდეთ ეგ საქონელი და ფულით ისარგებლეთო. მაგრამ კოლმეურნეები არ აჰყვნენ ჩვენს პროვოკაციას, ბევრგან მუქარითაც გვისტუმრებდნენ და გვეუბნებოდნენ — გიჩივლებთო. მესაქონლეობის დარგში მავნებლობდა აგრეთვე ჩვენს მიერ გადაბირებული ერთი სპეციალისტი — თურქოშვილი. იგი კოლმეურნეებს აძლევდა მოწმობებს, რომ მათ უფლება ჰქონდათ დაეკლათ საქონელი, და ეს მოწმობები ყოველთვის ყალბად იყო შედგენილი. თურქოშვილის საშუალებით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოვსპეთ და გავანადგურეთ გამწევი და პროდუქტიული საქონელი. ფართოდ გავშალეთ მავნებლობა საძოვრების გამოყენების საქმეში. საძოვრებს ვანაწილებდით ისე, რომ ზოგი უბანი ძლიერ იყო გადატვირთული, ზოგი კი დაუტვირთავი რჩებოდა და შუა ზაფხულში მწყემსებს უხდებოდათ ჯოგის გადაყვან-გადმოყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე. მწყემსები უჩიოდნენ ამას, საჩივრებით ბათუმში მოდიოდნენ, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგან ყველა იმ ორგანიზაციებში, სადაც ისინი საჩივრით მიმართავდნენ, ჩვენი წარმომადგენლები — ტროცკისტები იყვნენ.

ყველა ის ბრალდებანი, რომლებიც აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში, სწორია და მე ყველა ამ ბრალდებაში თავს ვცნობ დამნაშავედ. მხოლოდ დამატებით მინდა აღვნიშნო, რომ გეურქოვის სახელობის კოლმეურნეობაში, მაშინ როცა მუშაობის ალო იყო და ჩაის ფოთლის კრეფა იწყებოდა, ჩემი განკარგულებით 75 მკრეფავიდან კოლმეურნეობამ შვებულებაში გაუშვა 60 მკრეფავი.

ცხადია, ჩვენს მიზანს შეადგენდა მავნებლობა გაგვეჩაღებინა ყველგან, ყველა კოლმეურნეობაში, მაგრამ ეს ვერ შევძელით. ვცდილობდით კი საქმე ისე მოგვეწყო, რომ კოლმეურნეები თვითონ გამოსულიყვნენ მავნებლების როლში. ამ მიზნით ჩვენ ჩავშალეთ კოლმეურნეობებში შრომადღეების აღრიცხვის საქმე, მივეცით დირექტივა, რომ შესრულებული სამუშაოების შემოწმება არ ეწარმოებინათ, და სხვ. ჩვენ, ბლოკში შემავალი კონტრრევოლუციონერები, ვცდილობდით გამოგვეყენებინა ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ ხალხში გაძლიერებულიყო უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, დაგვერღვია კოლმეურნეობები და დაგვექვეითებინა სოფლის მეურნეობა. რაც შეეხება ჩემს ჯაშუშობას,—1935 წელს, როცა გ. რამიშვილმა გამხადა ტროცკისტული ორგანიზაციის აქტიური წევრი, ზექერია ლორთქიფანიძეს შევხვდი მის კაბინეტში და მან მითხრა, რომ ყველაფერი იცის, იცის, რომ მე ვარ ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი და მომიწოდა უფრო აქტიური მუშაობისაკენ. 1936 წელს ზექერია ლორთქიფანიძემ მითხრა, რომ მე შეყვანილი ვარ „დამოუკიდებელი აჭარის მთავრობაში“ მინისტრად, მაგრამ მე აღარ დავინტერესებულვარ ამ საკითხით და მისთვის ამის შესახებ არავითარი შეკითხვა არ მიმიცია. იმავე საუბრისას ზექერია ლორთქიფანიძემ მომთხოვა გადამეცა მისთვის მასალები სოფლის მეურნეობის შესახებ. ამ მასალებში უნდა ყოფილიყო ცნობები საკოლმეურნეო მშენებლობის სიძნელეებზე და ჩვენს მიერ წარმოებული დამარღვეველი მუშაობის შესახებ. ეს მასალები გადავეცი გასული წლის მარტში. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ ეს მასალები ზექერია ლორთქიფანიძეს გადაუცია უცხოეთის ერთ ერთი სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენლისათვის.

თავმჯდომარე — სარგებლობდით თუ არა თქვენ, ბრალდებულო მეგრელიძე, იმით, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრი იყავით?

მეგრელიძე — დიახ, ვსარგებლობდი. პარტიის წევრის ავტორიტეტს ვიყენებდი ტროცკისტულ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ახალი წევრების გადასაბირებლად.

სახელმწიფო ბრალმდებელი — ბრალდებულო, ღებულობდით თუ არა თქვენ წერილობით დირექტივებს სხვადასხვა მავნებლური აქტების შესახებ?

მეგრელიძე — არა, წერილობით დირექტივებს არ ვღებულობდით. გვქონდა მხოლოდ ზეპირი დირექტივები. მათიკაშვილისაგან კი მივიღე ერთი დირექტივა და ისიც ოფიციალური ცირკულარის სახით.

სახელმწიფო ბრალმდებელი—მოახსენეთ სასამართლოს, შეგიძლიანთ თუ არა გვითხრათ, რა ზარალი მიაყენეთ ქვეყანას?

მეგრელიძე — ჩვენ აღრიცხვა არ გვიწარმოებია. ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის და ყველგან ვცდილობდით ქვეყნისათვის ზიანის მიყენებას.

ბრალდებული მეგრელიძის დაკითხვით დამთავრდა სასამართლოს მეორე სხდომა.

25 სექტემბრის საღამოს სხდომა

ბრალდებულ გრიგოლ ლალიძის დაკითხვა

საღამოს სხდომა დაიწყო საქართველოს ფაშისტთა მეთაურის, ჯაშუშის, მოღალატისა და დივერსანტის გრიგოლ ლალიძის დაკითხვით.

— 1934 წლიდან, — სთქვა მან,— მე აქტიურად ჩავები კონტრრევოლუციურ მუშაობაში.

თბილისში ერთხელ შევიარე მწერალთა სასახლეში და იქ შევხვდი მიხეილ ჯავახიშვილს. პირველი შეხვედრისთანავე ჯავახიშვილმა ანტისაბჭოთა თემაზე დამიწყო ლაპარაკი და მომცა დავალება გამეშალა ბათუმში კონტრრევოლუციური მუშაობა.

დავბრუნდი ბათუმში და შევუდექი კონტრრევოლუციურ მუშაობას. ვისაც შევატყობდი ანტისაბჭოთა განწყობილებას, ყველას ვიბირებდი ამ ორგანიზაციაში. სულ 6 კაცი შევაკავშირე. ვფრთხილობდით, ფხიზლად ვიყავით, ვმუშაობდით კონსპირატიულად. ამ ექვსმა კაცმა მიიზიდეს ახალი წევრები და ჩვენი ორგანიზაცია რიცხობრივად ერთისამად გავზარდეთ.

1936 წლის ნოემბერში შემხვდა აჭარპროფსაბჭოს თავმჯდომარე რიზა ხოზრევანიძე და მითხრა, ზექერიასაგან მაქვს დავალებული საიდუმლოდ მოგელაპარაკოო. მე მას ვკითხე, თუ რაზე უნდა მომლაპარაკებოდა, ან რა საქმე ჰქონდა ჩემთან, რაზედაც მიპასუხა — მუშაობის შესახებ უნდა გელაპარაკოო. მართალი გითხრათ, ამ ამბავმა ძალიან შემაფიქრა და, ცოტა არ იყოს, შემაშინა კიდეც. რამდენიმე დღის შემდეგ შემთხვევით შემხვდა ზექერია ლორთქიფანიძე და მითხრა, რიზასი ნუ გეშინიან, მოელაპარაკეო. ცნობისმოყვარეობამ დამძლია და გადავწყვიტე წავსულიყავი ხოზრევანიძესთან მოსალაპარაკებლად.

ხოზრევანიძემ მითხრა: ახლო მომავალში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი; აქ, ბათუმში, ჩვენ ჩამოყალიბებული გვაქვს საიდუმლო ორგანიზაცია და გადავწყვიტეთ გავერთიანდეთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ყველა არალეგალურ პარტიებთანო. ჩვენ ვიცით რომ შენ ფედერალისტი ხარ და გვინდა მოგვცე თქვენი კაციო. დავთანხმდი თვითონ მე წავსულიყავი. მეორედაც შემხვდა ხოზრევანიძე და მითხრა, ხვალ მოდი ზექერია ლორთქიფანიძისას ნაშუადღევის 4 საათზეო. მივედი და იქ დამხვდნენ ქიქავა, გოგიბერიძე, რიზა ხოზრევანიძე და თვითონ ზექერია. ზექერიამ დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მოსალოდნელია დიდი ცვლილებები და ჩვენ, აჭარაში არალეგალურად მომუშავე პარტიათა წარმომადგენლები, მზად უნდა ვიყოთ ამ ცვლილებებისათვის. ერთი სიტყვით, ზექერია ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ როცა საბჭოთა ხელისუფლება დაემხობოდა, ჩვენ ჩავდგომოდით ხელისუფლებას სათავეში. გუნებაში ვთქვი,—ვის წინააღმდეგ გამოდის ეს კაცი, მთავრობა ხომ თვითონაა? უბრალო გლეხი იყო, საბჭოთა ხელისუფლებამ ის წამოსწია, მთელი მხარის ხელმძღვანელად გახადა და რატომ ებრძვის ეს კაცი საბჭოთა ხელისუფლებას? რა თქმა უნდა, მე სურვილი განვაცხადე მემუშავა მათთან ერთად.

კიდევ შესდგა მეორე თათბირი. იმ თათბირსაც დავესწარი და იქაც ზექერია ლორთქიფანიძემ მეტად უიმედო ფერებში დაგვიხატა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. მან სთქვა, რომ ახლა ისეთი დროა, რომ საჭიროა დავუკავშირდეთ ერთის მხრივ საქართველოს ცენტრს და მეორე მხრივ აჭარაში მყოფ სამხედრო ნაწილებს. ამ თათბირზე ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე საკითხი. ერთერთი ამ საკითხთაგანი იყო აჯანყებისათვის იარაღის მომარაგების საკითხი. აქ კიდევ განხილულ იქნა საკითხი მავნებლობის შესახებ. რამდენადაც მახსოვს, მაშინ ამ საკითხზე ითქვა, რომ მავნებლური მუშაობის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვთ ტროცკისტებსო.

რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ გოგიბერიძესთან მივედი. აქ დამხვდნენ ზექერია და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ანუ „ბლოკის“ დანარჩენი წევრები. ამ კრებაზე დამსწრეთ შევნიშნე საშინელი პანიკური განწყობილება. გოგიბერიძე ამბობდა, თბილისში ჩვენი ხალხი ჩავარდა და პიატაკოვის პროცესი იწყებაო. შეშინებულებმა ისე დავტოვეთ ეს თათბირი, რომ არავითარი გადაწყვეტილება არ მიგვიღია და არცერთი საკითხი არ განგვიხილავს.

კონტრრევოლუციური ბლოკის მიერ მე დავალებული მქონდა გამება კავშირი სამხედრო ნაწილებთან. ეს მე ვერ შევძელი, მაგრამ სამაგიეროდ მიზნად დავისახე მიმეზიდნა ჩვენს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ყოფილი ოფიცრობა. ოთხი ძველი ოფიცერთაგანი — გრძელიშვილი, კილუაშვილი, მიქატაძე და ცხაკაია მივიზიდე ამ ორგანიზაციაში სამუშაოდ. ტერორისტული კომისია კონტრრევოლუციურ ბლოკთან არ ყოფილა და მეც ამ კომისიაში არ ვყოფილვარ. მე მაშინ მითხრეს, რომ ტერორისტული საქმეების შესრულება დაკისრებული ჰქონდათ ტროცკისტებს.

თავმჯდომარე — მოახსენეთ სასამართლოს, რა დამოკიდებულება გქონდათ თქვენ მემედ ბეგ აბაშიძესთან.

ბრალდებული ლალიძე — მემედ ბეგს მე ვიცნობდი და ის ჩვენთან ერთად მუშაობდა. მას ერთხელ გადავეცი თბილისიდან ჩამოტანილი წერილი, რომელიც მემედ ბეგს უნდა გადაეგზავნა უცხოეთში მიხაკო წერეთლისათვის და გაგზავნა კიდეც.

თავმჯდომარე — დაგვისახელეთ ის პირები, ვინც თქვენ მიიზიდეთ ფაშისტურ ორგანიზაციაში სამუშაოდ.

ბრალდებული ლალიძე — ეს პირები იყვნენ: აბაშიძე, ექიმი ჭელიძე, აგრონომი ნიკოლაიშვილი, ჩოკერია და სხ. ჩვენი მიზანი იყო გაგვეერთიანებინა ნაციონალისტურად მოაზროვნე ინტელიგენცია, რომ საერთაშორისო გართულების დროს, როცა საბჭოთა ხელისუფლება დაემხობოდა, ჩავდგომოდით სათავეში ხელისუფლებას.

თავმჯდომარე — თქვენ აღნიშნეთ ერთერთი დაკითხვის დროს, რომ მემედ ბეგ აბაშიძესთან საუბრობდით. გვითხარით რაზედ საუბრობდით?

ბრალდებული ლალიძე — ჩვენ მაშინ ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ დროა ჩვენი ჯგუფისთვის, რომელსაც ჩვენ ეროვნულ ჯგუფს ვეძახით, დაგვერქმია საქართველოს „ეროვნული პარტია“. ერთხელ მემედ აბაშიძე, როცა იგი ჩემთან იყო, შეხვდა ორ უცნობ უცხოელს და დაუწყო მათ ლაპარაკი. მე უხერხულად ვცანი ახლოს ყოფნა და მოვშორდი. რაზედ ილაპარაკეს, არ ვიცი...

სახელმწიფო ბრალმდებელი —დაუსახელეთ სასამართლოს, თუ ვინ შედიოდა თქვენი „ეროვნული პარტიის“ მოიერიშეთა ჯგუფში.

ბრალდებული ლალიძე—მოიერიშეთა ჯგუფში, როგორც მოგახსენეთ, შედიოდნენ ყოფილი ოფიცრები— ცხაკაია, კილუაშვილი, მიქატაძე და გრძელიშვილი.

სახელმწიფო ბრალმდებელი — ეწეოდით თუ არა თქვენ კონტრრევოლუციურ მუშაობას 1921 წლიდან 1934 წლამდე.

ბრალდებული ლალიძე — არ ვეწეოდი, თუმცა პოლიტიკური რწმენა არ შემიცვლია და მე იგივე დავრჩი, რაც ვიყავი, მაგრამ არ ვმუშაობდი. ხოლო შემდეგ კი, როგორც მოგახსენეთ, აქტიურად ვმუშაობდი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აქ ჩამოვაყალიბე ორგანიზაცია, რომელშიაც შევდიოდით მე, მემედ ბეგ აბაშიძე, კალიძე, ნიჟარაძე, ო. ბარათაშვილი და მალალაშვილი.

თავმჯდომარე—გაიმეორეთ ბრალდებულო ლალიძე, რომელ ჯგუფში — ტერორისტულ თუ სამხედრო ჯგუფში მუშაობდით „ბლოკის“ დავალებით?

ბრალდებული ლალიძე — მე ვმუშაობდი სამხედრო ჯგუფში.

26 სექტემბრის დილის სხდომა

26 სექტემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულთა დაკითხვა. დამცველების შუამდგომლობით წინა სხდომაზე დაკითხულ ლალიძეს თავმჯდომარემ მისცა კითხვა, უარჰყოფს თუ არა ის ტროცკისტულ-ტერორისტულ ორგანიზაციაში თავის მონაწილეობას. ბრალდებულმა განაცხადა, რომ გადაჭრით უარჰყოფს. შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა ბრალდებულ ქიქავას, თუ იგი რას იტყვის ამის შესახებ. ქიქავამ დაადასტურა თავისი პირველი ჩვენება და აღნიშნა, რომ ლალიძე, მართალია, პრაქტიკულად სამხედრო ორგანიზაციაში მუშაობდა, მაგრამ არსებობდა შეთანხმება, რომ აჯანყების დროს ტერორისტულ-ტროცკისტულ ორგანიზაციას ჩაუდგებოდა სათავეში. ბრალდებულმა ქიქავამ გაახსენა ბრალდებულ ლალიძეს, რომ ამის შესახებ შეთანხმებებს მიაღწიეს კალენიკე გოგიბერიძის ბინაზე გამართულ კონსპირატიულ თათბირზე.

შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულ სულეიმან ბეჟანიძის დაკითხვას. გამოირკვა, რომ ბეჟანიძე ერთერთი ყველაზე აქტიური მავნებელი და ჯაშუში იყო. მან თავი მოიკატუნა და სთქვა, თითქოს იგი ძალით ჩაითრიეს კონტრრევოლუციურ მუშაობაში ზექერია ლორთქიფანიძემ და რიზა ხოზრევანიძემ. პირველად, წინადადება რომ მიიღო, დიდხანს ყოყმანობდა, შემდეგ გადასწყვიტა თავის მოკვლა ზექერიას ბინაზე, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან რევოლვერი წაართვეს. ბრალდებულ ბეჟანიძის სიცრუე ჩქარა გამოირკვა დაკითხვის ბოლოს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე ბრალდებულმა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ბეჟანიძემ სიმთვრალის დროს მის ბინაზე გაისროლა რევოლვერი სიმულაციის მიზნით. ასე ჩაუვარდა კოვზი ნაცარში თვალთმაქც და გაიძვერა ბეჟანიძეს. შემდეგ ბეჟანიძე იძულებული გახდა შეკითხვებზე გაცემულ პასუხში ეღიარებინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი. იგი, როგორც ხულოს რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობების დარღვევას, ავალებდა თავის აგენტებს მოსავლის, ხარგავების გაფუჭებას, საქონლის განადგურებას. მან დაარღვია შვიდი კოლმეურნეობა. დალუპა ას სულამდე საქონელი და მრავალი სხვა. ამასთანავე ბეჟანიძეს კავშირი ჰქონდა უცხოეთის დაზვერვასთან.

ბეჟანიძე დაუღალავად მუშაობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის გადაემტერებინა მთელი მოსახლეობა, მაგრამ დანაშაულზე წაასწრეს და შეაწყვეტინეს კონტრრევოლუციური მოღვაწეობა.

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა ოსმან ვანაძე. ვანაძე კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარეა. ჩვენების მიცემისას იგი თვალთმაქცობდა და საქმეს ისე სახავდა, თითქოს შეუგნებლად ჩაება კონტრრევოლუციურ მუშაობაში. მაგრამ შემდეგ იგიც იძულებული გახდა გამოტეხილიყო მის მიერ ჩადენილ შავბნელ საქმეებში. მან კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩააბა ოთხი უკმაყოფილო ანტისაბჭოთა ელემენტი. ვანაძეს ხელმძღვანელად მიჩენილი ჰყავდა ახმედ ბოლქვაძე. ვანაძე მუშაობდა არტელების ჩამოყალიბებაზე, გაჰყავდა იქ ყოფილი კულაკები, ანტისაბჭოთა ელემენტები და აწყობდა მის მიერვე ჩამოყალიბებული არტელების შიგნიდან რღვევას. მიუხედავად ამისა, მან ვერ შესძლო მის მიერ შექმნილი ყველა კოლმეურნეობის დარღვევა. არც მავნებლობა გაუვიდა, არც აგიტაცია, ხოლო მისმა აგენტებმა ვერ შესძლეს მუშაობის გაშლა, რადგან კოლმეურნეები ხელისუფლების მიმართ კარგად იყვნენ განწყობილი და მავნებლური მუშაობისათვის ნიადაგი არ იყო. ვანაძემ მაინც შესძლო გაეფუჭებინა სამას ფუთამდე კარტოფილი, მიითვისა კოლმეურნეობის თანხა, დალუპა თოთხმეტი ხარი.

საინტერესო გამოდგა ბრალდებულ ხასან ჩალოოლის დაკითხვა. იგი ყველაზე გაიძვერაა, კეთილი ცხოვრების მოყვარული. მან კონტრრევოლუციურ მუშაობაში მიიზიდა ყოფილი კულაკები, კლასობრივი მტრის ნაშთები და ამზადებდა მათ აჯანყებისათვის. — ჩემი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება, რადგან მეც ვეღირსებოდი კარგ თანამდებობას და კეთილ ცხოვრებასო — სთქვა ჩალოოლიმ. ჩალოოლი შარშან კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იყო, ჩაშალა თესვა, დალუპა სიმინდის მოსავალი და სხვ. დიდხანს მუშაობა არც ჩალოოლის დასცალდა. იგი დააპატიმრეს. დაკითხვისას გამოირკვა, რომ სააჯანყებო კომიტეტი ჩალოოლს შეჰპირდა ფულს, დახმარებას მისი მავნებლური მუშაობისათვის, მაგრამ შემდეგ ეს ფული აღარ მისცეს. გარეწარი ჩალოოლი შეურაცხყოფილია მისი კოლეგების, ძასზე არანაკლებ გათახსირებული ზექერია ლორთქიფანიძის, ქიქავას და სხვების შანტაჟისტობით.

დიდი სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავის შესახვედრად

ახლოვდება საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დღე. ახლოვდება 20 წლისთავი სსრ კავშირში დიდი სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. ისტორიული მასშტაბებით 20 წელი რიცხობრივად სრულიად უმნიშვნელო ვადაა. მაგრამ სოციალიზმის ცხოველმყოფელი ძალა იმდენად კოლოსალურია, რომ ამ უმოკლეს ვადაში მსოფლიოს მეექვსედი ნაწილი ისე შეიცვალა, რომ ვეღარ იცნობ. სოციალიზმის გიგანტური გუთნით არის გადახნული მთელი ჩვენი მიწა და ახალი, არსად არნახული, სახე მოიპოვეს მისმა ქალაქებმა და სოფლებმა, მისმა მინდვრებმა და მდინარეებმა, და, რაც მთავარია — **მისმა ადამიანებმა.** რევოლუციამ მრავალჯერ გაამრავლა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი, რომელნიც ახლა საყოველთაო სახალხო საკუთრებას შეადგენენ; მან აამოძრავა მიწის უზარმაზარი შრეები და მისი სიმდიდრენი, მან შემოქმედებითი ცხოვრებისათვის აალორძინა ხალხის მრავალმილიონიანი ქვედა ფენები.

ექსპლოატატორული წყობილების მძიმე ბორკილებისაგან, სიღატაკისაგან, შიმშილობისაგან, ძალადობისაგან განთავისუფლებული ადამიანი საბჭოთა ქვეყანაში გვიჩვენებს შემოქმედებითი შრომის სასწაულებს, რომელიც ჰქმნის ხალხის ბედნიერებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერებასა და დიდებას. აღმავლობა ცხოვრების ყველა დარგში განსაკუთრებით მძაფრ ხასიათს ღებულობს ახლა—დიადი წლისთავის წინ. სტახანოვურმა მოძრაობამ, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დაახასიათა როგორც თანადროულობის ყველაზე სასიცოცხლო და დაუძლეველი მოძრაობა, ახალი ბიძგი მიიღო საყოველთაო სახალხო დღესასწაულისათვის მზადების თვეებში.

თვითეული დღე ახლა მდიდარია ახალი სტახანოვური რეკორდებით. მჭედელ ბორისოვის ბრიგადამ, რომელიც მუშაობს ღერძების გამოჭედვაზე ქარხანა „კრასნი პროფინტერნში“, ათი დღის განმავლობაში სამი სრულიად-საკავშირო რეკორდი დაამყარა. ტულელმა მჭეთილმა მიგალინმა ცვლაში 10 ნორმა შეასრულა. ვერხ-ისეტსკის მეფოლადემ ტროფიმოვმა ერთიორად გადაამეტა თავისი აგრეგატის ტექნიკურ სიმძლავრეს. ლენინგრადის ფეხსაცმლის ფაბრიკა „სკოროხოდის“ სტახანოველმა გამომჭრელმა ლიპსკიმ 8 სამუშაო დღეში გადამეტებით შეასრულა თვიური დავალება. დმიტროვსკის სამრეწველო მეურნეობის (ჩრდილოეთის ოლქი) ტყის-მჩეხავები სექტემბერში საშუალოდ იძლევიან 4 ნორმას მთელ სატყეო-სამრეწველო მეურნეობაში. 2-3 ნორმის შესრულება ძალიან ბევრ საწარმოში მასობრივ მოვლენად ხდება.

მასების შემოქმედებითი აღმავლობა არანაკლებ მკაფიოდ სჩანს საკოლმეურნეო სოფელში. სოციალისტური რევოლუციის მეოცე წელი აღინიშნა უხვი მოსავლით, რასაც კოლმეურნე გლეხობისათვის მოაქვს კეთილდღეობის ახალი მკვეთრი აღმავლობა. ხორბლის, ჭვავის, ქერის, სელის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალი მოსავალი — პირდაპირი შედეგია ჩვენი პარტიის მთელი მუშაობისა სოციალისტური სასოფლო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისათვის და შედეგია საკოლმეურნეო წყობილების მილიონობით შვილების — კომბაინერების, ტრაქტორისტების, მემინდვრეების, ბრიგადირების და რიგითი კოლმეურნეებისა და კოლმეურნე-ქალების ენტუზიასტური შემოქმედებითი ღონისძიებებისა.

მსოფლიოში არცერთი ქვეყანა არ იცნობს ტრაქტორებისა და კომბაინების გამოყენების ისეთ მაღალ ნორმებს, როგორიც მოგვცა ჩვენმა სოციალისტურმა სასოფლო მეურნეობამ უკვე ორი-სამი წლის წინათ. მაგრამ წელს ყველა რეკორდი გადალახულია. კომბაინერმა კონსტანტინე ბორინმა, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს, ორი „სტალინეცის“ გადაბმით აიღო 3.240 ჰექტარი (თავთავიანი კულტურები და მზესუმზირა), — გაუგონარი რეკორდია! მაგრამ უკვე ორი დღის შემდეგ გამოირკვა, რომ მას გადააჭარბა ორენბურგელმა კომბაინერმა ოსკინმა, რომელმაც აიღო 4.015 ჰექტარი.

ჩვენი ქვეყანა ემზადება დიადი დღესასწაულისათვის. ამ დღესასწაულს იგი აღნიშნავს არა მარტო საწარმოო გამარჯვებებით, არამედ დიდი მიღწევებითაც ხალხის მილიონიანი მასების კულტურისა და ყოფაცხოვრების დარგში. ათობით ქალაქები და ათასობით სოფლები იკაზმებიან დღესასწაულისათვის — ახალი საცხოვრებელი სახლებით, კლუბებით, კულტურის სასახლეებით, საბავშვო დაწესებულებებით. დიადი წლისთავისათვის მოსკოვსა და ლენინგრადში, მინსკსა და ფრუნზეში და ათობით სხვა ადგილებში იხსნება გამოფენები, რომლებიც ასახავენ სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედების უდიდეს ზრდას ლიტერატურაში, ფერწერაში, სკულპტურაში, თეატრში. ცოტა როდი იხსნება ისტორიული გამოფენები, რომლებიც გვიჩვენებენ იმ გზას, რომლითაც ლენინ-სტალინ-ს პარტიას მიჰყავდა და მიიყვანა ჩვენი სამშობლოს ხალხები სოციალიზმის გამარჯვებამდე.

უდიდესია ინტერესი ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის შესწავლისადმი. ხალხის მილიონიანი მასები 20 წლისთავის წინ განსაკუთრებული ყურადღებით, განსაკუთრებული სიხარულის გრძნობით მიმოავლებენ თვალს იმ სახელოვან გზას. რომელიც გავლილია ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით. ოქროს გასაღებს 1917 წლის ოქტომბრის წინა თვეების ვითარების გასაგებად გვაძლევენ მუშათა კლასის ბელადებისა და მასწავლებლების — ლენინისა და სტალინის ნაწარმოებნი.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ოთხ დოკუმენტს, რომლებიც დაწერილია ლენინისა და სტალინის მიერ 1917 წლის ოქტომბრის წინადღეს. ეს დოკუმენტები საუკუნეობით შევლენ კაცობრიობის ისტორიაში, — ისინი ანალიზის განსაკუთრებული სიღრმითა და გამჭვირვალე სიცხადით გვიჩვენებენ, თუ როგორ ემზადებოდნენ ბოლშევიკები 20 წლის წინათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ დიადი იერიშისათვის. 1917 წლის სექტემბრის დღეებში იწერებოდა ლენინის წერილები: „მარქსიზმი და აჯანყება“ და „ბოლშევიკებმა ხელთ უნდა აიღონ ძალაუფლება“ და სტალინის მგზნებარე სტატიები: „მეორე ტალღა“ და „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“.

სწყდებოდა რუსეთის რევოლუციის ბედი, და იმპერიალიზმის ძალების მთელი ხროვა — შავრაზმელი გენერლებიდან მენშევიკებამდე და ესერებამდე — ყოველივეს სჩადიოდა იმისათვის, რომ დაელუპა, დაესამარებინა რევოლუცია, მოეხდინა მისი ლიკვიდაცია. კერენსკის მთავრობა ემზადებოდა გერმანიის კაიზერისათვის ჩაებარებინა პეტროგრადი, იგი ამზადებდა მუშების ახალ ხოცვა - ჟლეტას (ჩაშლილი კორნილოვშჩინის შემდეგ), მას ჩვენი ქვეყანა მიჰყავდა საბოლოო ნგრევისა და სიღატაკისაკენ, რათა იმპერიალისტური ბურჟუაზიის განზრახვით, რაც რიაბუშინსკიმ გამოსთქვა, დაეხრჩო რევოლუცია შიმშილის გაძვალტყავებული ხელით.

რევოლუციის ამ კრიტიკულ მომენტში ლენინი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სწერს წერილებს **აჯანყებისათვის მზადებაზე, რევოლუციის ხსნისა და გამარჯვებისათვის ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მომზადებაზე.** ამ მომენტში ამხანაგი სტალინი „რაბოჩი პუტში“ ბეჭდავს სტატია-მოწოდებას, რევოლუციური დროის ლოზუნგს: **„მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“.** ეს სტატია, ისევე როგორც მანამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნებული სტატია „**მეორე ტალღა**“, გამსჭვალულია რევოლუციური მგზნებარებით, ღრმა რწმენით მუშათა კლასის— რევოლუციის ამ ჰეგემონის — ძალებისადმი, მწვავე სიძულვილითა და ზიზღით მენშევიკებისადმი, რომელნიც „ყოველთვის „ბარიკადის იქითა მხარეს“ დგებოდნენ და ძალაუფლებისათვის ბრძოლაში კადეტების სასარგებლოდ სწყვეტდნენ“.

მთელი ძალაუფლება საბჭოებს!— ასეთი იყო ლენინ-სტალინის პარტიის ლოზუნგი. ვინაიდან,—სწერდა ლენინი, — „**ხალხის უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა**“. ვინაიდან, მიუხედავად მთელი დევნისა ბურჟუაზიისა და კერენსკის მთავრობის მიერ, მიუხედავად მენშევიკების გამცემლობისა, — **რევოლუცია მოდის.**

„რევოლუცია მოდის, —ასე იწყებოდა ამხანაგ სტალინის სტატია. — ივლისის დღეებში ტყვიადაშენილი და მოსკოვის თათბირზე „დასამარებული“, იგი კვლავ მაღლა სწევს თავს, ამსხვრევს ძველ დაბრკოლებებს, ჰქმნის ახალ ძალაუფლებას. კონტრრევოლუციის სანგრების პირველი ხაზი აღებულია. კორნილოვის შემდგომ უკან იხევს კალედინი, ბრძოლის ცეცხლში ცოცხლდებიან თითქოს მომკვდარი საბჭოები, ისინი კვლავ დგებიან საქმესთან და მიუძღვებიან რევოლუციურ მასებს.

მთელი ძალაუფლება საბჭოებს — აი ერთია ახალი მოძრაობის ლოზუნგი“.

ამ მოძრაობამ გაიმარჯვა. მან გაიმარჯვა იმიტომ, რომ მის სათავეში იდგა ბოლშევიკების რკინის პარტია, ლენინისა და სტალინის მიერ ათეულ წლობით გამოჭედილი. მან გაიმარჯვა იმიტომ, რომ ჩვენმა პარტიამ თავისი რევოლუციური გაბედულებით და მუშათა კლასის ინტერესებისადმი, ხალხის ინტერესებისადმი თავდადებული ერთგულებით თავის მხარეზე გადაიყვანა ხალხის მასების უდიდესი უმრავლესობა. მან გაიმარჯვა იმიტომ, რომ ჩვენი პარტია მუდამ აშკარად, ვაჟკაცურად, გაბედულად ეუბნებოდა მასებს ცხოვრების სიმართლეს, კლასობრივი ბრძოლის სიმართლეს. მან გაიმარჯვა იმიტომ, რომ ჩვენი პარტია მუდამ შეურიგებელი იყო მუშათა კლასის ყველა მტრისადმი, ხალხის ყველა მტრისადმი და ასწავლიდა —და ასწავლა!—ხალხის მასებს ეს შეურიგებლობა.

სტატიებსა და წერილებში, სადაც ლენინი და სტალინი მუშათა კლასსა და გლეხობას მოუწოდებდნენ აჯანყებისაკენ საბჭოების ძალაუფლებისათვის, ისინი სწერდნენ, რომ მხოლოდ ამ ძალაუფლებას შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა იმ ჩიხიდან, რომელშიაც მოაქციეს იგი მემამულეებმა და კაპიტალისტებმა მენშევიკებთან და ესერებთან ერთად. ლენინი და სტალინი ამ სტატიებსა და წერილებში სწერდნენ, რომ საბჭოების ძალაუფლება დაიცავს ჩვენს ქვეყანას უცხოელთა შემოსევისაგან, რომ იგი დათრგუნავს კაპიტალისტებსა და მემამულეებს, რომ იგი მიაღწევს ზავს, რომ მხოლოდ „ერთადერთი ბოლშევიკური მთავრობა დააკმაყოფილებს გლეხობას“.

ხალხისათვის მიცემული ყველა ეს დაპირება ლენინ-სტალინის პარტიამ მთლიანად შეასრულა. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა დაიპყრო ძალაუფლება. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა, გლეხობასთან კავშირში, დაამარცხა ურიცხვი მტრები.

განვლილი ოცი წლის მანძილზე კაპიტალიზმის მსოფლიო კიდევ უფრო მიიხრწნა და მას სულ უფრო-დაუფრო ღრღნიან წინააღმდეგობანი, რომელნიც მზად არიან შიგნიდან ააფეთქონ იგი. ჩვენი ქვეყანა კი უბადრუკი და ღატაკი ქვეყნიდან, როგორიც იგი ცარიზმის დროს იყო, მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო გახდა. იგი აღმართულია კაპიტალისტურ მსოფლიოზე, როგორც სალი კლდე, როგორც კაცობრიობის საუკეთესო ადამიანთა განხორციელებული ოცნების ქვეყანა. იგი აღმართულია, როგორც სალი კლდე და შუქურა, მთელი მსოფლიოს ათეულ მილიონობით მშრომელთათვის, რომელნიც მოძმე კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით თავისი დიადი იერიშისათვის ემზადებიან.

„პრავდის“ მოწინავე, 26/IX.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეებისათვის შეღავათების შესახებ ხორცის ჩაბარებაში

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა შენარჩუნებულ იქნას 1937 და 1938 წლებში შემდეგი შეღავათები ხორცის ჩაბარებაში:

1. განთავისუფლებულ იქნან სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის ჩაბარებისაგან ორი წლის ვადით კოლმეურნეები, რომლებმაც თავის მეურნეობაში გამოზარდეს ძროხა ან დეკეული და მიჰყიდეს ისინი საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებს სახელმწიფო ფასებში, აგრეთვე ერთპიროვნული მეურნეები, რომელნიც შევიდნენ კოლმეურნეობაში და მიჰყიდეს ძროხა ან დეკეული საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმას სახელმწიფო ფასებში.

2. განთავისუფლებულ იქნან კოლმეურნეობები სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარებისაგან მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ღორის და ცხვრის იმ სულადობის მიხედვით, რომელიც შეტანილია ერთიან სახელმწიფო საჯიშე წიგნში, აგრეთვე ცალკეული საკოლმეურნეო კომლები, იმ პირობით, თუ ერთიან სახელმწიფო საჯიშე წიგნში შეტანილ პირუტყვისაგან მიღებულ ნამატს კოლმეურნეები სახელმწიფოზე ჰყიდიან.

3. მიეცეს კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს, რომელნიც ჰყიდიან და აკონტრაქტებენ დეკეულებს უძროხო კოლმეურნეებისათვის მისასყიდად, დეკეულის ჩაბარების მხრივ, შეღავათი სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების წლიური ნორმის 20 პროცენტის რაოდენობით.

4. განთავისუფლებულ იქნან კოლმეურნეობები სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარებისაგან მერინოსის, კარაკულის და ხუჭუჭბეწვიანი დედა-ცხვრის სულადობის მიხედვით, აგრეთვე მუშა-ხარის და კამეჩის სულადობის მიხედვით კოლმეურნეობებში.

გარდა ამისა, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა, დაწყებული 1937 წლიდან მეცხოველეობის ფერმების მქონე კოლმეურნეობათა წევრების პირად ვალდებულებათა შესრულებაში ჩაირიცხულ იქნას ხორცის (ცოცხალი წონით) იმ რაოდენობის 25 პროცენტი, რომელიც ფერმებმა ჩააბარეს ღორებით და ხორცის იმ რაოდენობის 20 პროცენტი, რომელიც ჩააბარეს სხვა სახის პირუტყვით.

(საკდესი).

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის შესახებ

მოსკოვი, 25 სექტემბერი (საკდესი). იმის გამო, რომ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა 1937 წლის 6 იანვარს ჩატარდა სსრ კავშირის საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ სტატისტიკური მეცნიერების ელემენტარული საფუძვლების უხეში დარღვევით, აგრეთვე მთავრობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების დარღვევით, — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ არადამაკმაყოფილებლად აღიარა აღწერის ორგანიზაცია და თვით აღწერის მასალები კი დეფექტიანად.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაავალა სსრ კავშირის საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს ხელახლა ჩაატაროს მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა 1939 წლის იანვარში.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობების მიხედვით)

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რესპუბლიკელთა ჯარებმა 23 სექტემბრის განმავლობაში, გარდა ბიესკასის, ესკუერის პუნქტებისა და სოფელ გავინისა, დაიკავეს სოფლები: არგუისელი, ვენტორილია, კასე დე ესკუარი, მდინარე გალიეგოს მარჯვენა ნაპირზე, აგრეთვე იოსა დე ობრეგას პოზიციები. რესპუბლიკელებმა, განაგრძობდნენ რა წინსვლას, დაიკავეს კასა ბატანერო, მაღლობები 1190 და 1100 და სოფელი ალიუე. ესკუერისა და ბიესკასის დაკავების დროს რესპუბლიკელებმა ტყვედ წამოიყვანეს 100-ზე მეტი კაცი.

24 სექტემბერს რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს ორნას რკინიგზის სადგური, ბარანგუას წისქვილი და კასა დე ბარანგუა, ელ არტოს საფლაო და რამდენიმე პოზიცია იმ გზის მეათე კილომეტრის მახლობლად, რომელიც მიდის საბინიანიგოდან რიბერა დე ფისკალისაკენ. რესპუბლიკელებმა ტყვეები წამოიყვანეს, აგრეთვე ხელთ იგდეს დიდძალი საომარი მასალა.

სუერას სექტორში (სარაგოსის ჩრდილოეთით) რესპუბლიკელებმა ენერგიულად მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში.

პერდიგერას რაიონში (სარაგოსის ჩრდილო - აღმოსავლეთით) რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები ჩამოჰყარა და ტყვიამფრქვევები დაუშინა მეამბოხეთა ჯარების თავმოყრილ ნაწილებსა და სავსებით გაჰფანტა ისინი. მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ, მოსპობილია რამდენიმე საბარგო ავტომობილი.

ჩრდილოეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 24 სექტემბერს ფაშისტების ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ხიხონს და მის მიდამოებს.

ფრონტის აღმოსავლეთის სექტორში მეამბოხეებმა დაიკავეს პენსუას მთის მასივის გორაკი, მიუხედავად ამისა, რესპუბლიკელების ჯარმა წარმატებითი კონტრშეტევის შედეგად მეამბოხეები განდევნა იქიდან. მეამბოხეთა ნაწილებმა, რომელთაც ეხმარებოდნენ ავიაციის თვალსაჩინო ძალები და ტანკები, დაიკავეს რესპუბლიკელთა პოზიციები მოლინოში. ამ ფრონტის სამხრეთ სექტორში მეამბოხეებმა კვლავ დაიკავეს სიმაღლე 1572.

○

24 სექტემბერს ღამით ფაშისტების თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ბარსელონის მიდამოებს. დაჭრილია რამოდენიმე კაცი.

პირატული თავდასხმა ინგლისურ გემზე

ლონდონი. 23 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ნავთსასხმელი გემი „ბარლინგტონი“, ესპანელი მეამბოხეების მიერ მისი განთავისუფლების შემდეგ, 22 სექტემბერს პალმიდან (მაიორკის კუნძული) ალჟირს ჩავიდა. გემის კაპიტანმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა:

„29 აგვისტოს მესინის სრუტის მახლობლად ჩვენ გაგვაჩერა და დაგვკითხა „უცნობი“ ეროვნების სამხედრო ხომალდმა. 30 აგვისტოს შეიარაღებულმა სავაჭრო გემმა გვიბრძანა გავჩერებულიყავით პალერმოდან 22 მილის მანძილზე და შეგვეკითხა—გაგვსინჯა თუ არა ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტის კონტროლიორმა. როცა მე ბრძანება გავეცი რადიოთი გამოეთხოვათ დახმარება, გაისმა გამაფრთხილებელი სროლა და გემზე ამოვიდნენ შეიარაღებული ოფიცრები, კომანდა დაპატიმრებულად გამოაცხადეს, რადიო დაშალეს, მე კი მიბრძანეს ჩამექრო სინათლე და გავყოლოდი შეიარაღებულ სავაჭრო გემს პალმაში. შემდეგ ჩვენ თავს დაგვტრიალებდა 2 თვითმფრინავი პალმაში მეამბოხეთა ხელისუფლებამ ჩვენი გემიდან გადმოტვირთა ნავთი და წაიღო. 20 დღის შემდეგ ჩვენ ნება დაგვრთეს დაგვეტოვებინა პალმა, მაგრამ უტვირთოდ“.

ომი ჩინეთში

იაპონიის ავიაციის დანაკლისი

შანხაი, 24 სექტემბერი (საკდესი). პასუხად იაპონელთა მტკიცებისა ჩინეთის ავიაციის დიდი დანაკლისის შესახებ, ნანკინის მთავრობის სამხედრო საბჭოს საინფორმაციო ბიურომ ოფიციალურად განაცხადა, რომ მარტო 14-დან 31 აგვისტომდე ჩინეთის 54 თვითმფრინავმა ჩამოაგდო იაპონიის 62 თვითმფრინავი. ჩამოგდებული იაპონური თვითმფრინავები დაათვალიერა ბევრმა უცხოელმა მიმომხილველმა. ჩინელთა ხელისუფლებამ დამარხა 81 იაპონელი მფრინავი, 11 მფრინავი ტყვედ არის წამოყვანილი და 20-ზე მეტმა იაპონელმა მფრინავმა მოახერხა მიმალვა. სექტემბრის განმავლობაში ჩინელმა მფრინავებმა შესძლეს ჩამოეგდოთ იაპონიის თვითმფრინავთა კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობა.

იაპონიის ჯარების რიცხვი ჩრდილო ჩინეთის ფრონტებზე

ლონდონი, 24 სექტემბერი, (საკდესი). გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ უცხოელი ექსპერტების გამოანგარიშებით, იაპონიას ამჟამად ჩრდილო ჩინეთის ფრონტებზე ბრძოლებში გამოყვანილი ჰყავს არანაკლებ 11 დივიზიისა და რეზერვშია რამოდენიმე დივიზია. ჰფიქრობენ, რომ ჩრდილო ჩინეთში იმყოფება 250 ათასი იაპონელი ჯარისკაცი. ივლისიდან ახალი მაშველი ძალებით მნიშვნელოვნად გააძლიერეს იაპონელთა ჯარები მანჯურიაშიც და შიდა მონღოლეთშიც. სულ აზიის მატერიკზე 500 ათასი იაპონელი ჯარისკაცია.

რუზველტის მოგზაურობა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი, (საკდესი). რუზველტი წავიდა თავის ქვეყანაში სამოგზაუროდ, როგორც მან განაცხადა, მოსახლეობის განწყობილების შესწავლის მიზნით, აგრეთვე სიეტლში მთავრობის სხვადასხვა ნაგებობისა და საზღვაო გემსაშენის ინსპექტირებისათვის. რუზველტი ჩავა აგრეთვე ვიქტორიაში (ბრიტანეთის კოლუმბია).

ბოლშევიკურად მოვემზადოთ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის

აღფრთოვანებული ვეგებები არჩევნებს

მე წარმოშობით ბერძენი ვარ. მამაჩემის ღარიბი ოჯახი იმპერიალისტური ომის საშინელ დროს გადმოიხვეწა საბერძნეთიდან. ბავშვობა აუწერელ ტანჯვაში გავატარე. ჩვენ ვეძიებდით სამშობლოს და კიდეც ვპოვეთ იგი, — ეს არის ყველა მშრომელის სამშობლო, ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც მოგვანიჭა ბედნიერი და საამური ცხოვრება.

თბილისის მაუდის ფაბრიკაში პირველად უბრალო დამლაგებლად დავიწყე მუშაობა, ამჟამად კი სართავი მანქანის სტახანოველი ოსტატი ვარ, ვმუშაობ ორ დაზგაზე და გეგმას მუდამ დიდი გადაჭარბებით ვასრულებ.

ჩემს პატიოსან შრომას შესაფერადაც აფასებენ. ფაბრიკაში მრავალჯერ ვარ დაჯილდოვებული სხვადასხვა ძვირფასი ნივთებითა და ფულით. ამჟამად ჩემს სუფთა და ნათელ ბინაში რკინის ლამაზი საწოლებიც არის, შიფონერიცა და პატეფონიც. წინათ მუშას ასეთ რამეებზე ხომ ოცნებაც არ შეეძლო!

ახალი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენმა საყვარელმა დიდმა სტალინმა შექმნა, ანხორციელებს იმას, რაზედაც ფიქრობდნენ და ოცნებობდნენ მშრომელნი მრავალ საუკუნეთა მანძილზე.

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება გულდასმით შევისწავლე და აღფრთოვანებით მოველი არჩევნებს.

კარგად ვიცი, თუ რა გაჭირვებასა და უუფლებობას განიცდიან მშრომელნი საბერძნეთსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში და გული სიხარულით მევსება იმის გამო, რომ საბჭოთა ქვეყნის მთელ ბედნიერ ხალხთან ერთად მეც ვიქნები მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული არჩევნების მონაწილე.

ქსენია ტახჩიდი.

მაუდის ფაბრიკის სტახანოველი ოსტატი

რა აკეთეთ, რას შვრებოდით?

ყვარლის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭო არადამაკმაყოფილებლად ემზადება უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის. საბუის, ახალსოფლის, ყვარლის, ენისელისა და გრემის სასოფლო საბჭოების სექციები თავიანთ მოვალეობად არ სთვლიან საარჩევნო კანონის დამუშავება-შესწავლას. დებულების გამოქვეყნებიდან ორი თვის შემდეგაც არ უფიქრნიათ მისი შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბებაზე. შილდისა და ენისელის სამკითხველოებს დღემდე არ შეუძენიათ სტალინური კონსტიტუცია, დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, ამხ. იაკოვლევის მოხსენება და პოპულარული ბროშურები საარჩევნო კანონის შესახებ.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ყაზბეგის რაიონში. ამ რაიონის ოსი მოსახლეობა მოკლებულია ოსურ ენაზე დაწერილ ლიტერატურას საარჩევნო კანონის შესახებ. 30 აგვისტომდე ოს მშრომელთათვის დებულების შემსწავლელი ერთი წრეც არ არსებობდა.

საარჩევნო კანონის შესწავლის მხრივ ქიათურის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოც ჩამორჩება. ჩიხის სასოფლო საბჭოში დებულების შემსწავლელი 12 წრე დაიშალა. ეს გამოწვეულია იმით, რომ საბჭოს თავმჯდომარე ვერ თაოსნობს ამ საქმეს. წრეების ხელმძღვანელებად მან შეუფერებელი პირები გამოჰყო. აბა რა უნდა ასწავლონ ხუციშვილმა და იაკობაშვილმა, რომელთაც მათ თვითონაც არა აქვთ წარმოდგენა საარჩევნო კანონზე. მსგავსი მდგომარეობაა ჭალის სასოფლო საბჭოში, აქ ჩაშლილია დებულების შემსწავლელი 18 წრის მუშაობა.

ჯერ კიდევ ბევრ რაიაღმასკომს შეგნებული არა აქვს არჩევნებისათვის მზადების მნიშვნელობა, მათ ეს საქმე პრეზიდიუმებისა და პლენუმების მსჯელობის ძირითად საკითხად არ გაუხდიათ. ალბულაღის რაიაღმასკომის პრეზიდიუმს 8 და 14 სექტემბრის სხდომებზე კრინტიც არ დაუძრავს არჩევნებისათვის მზადების შესახებ. ასეთივე მდგომარეობაა ბაღდათის, დუშეთის, ახალქალაქისა და ქიათურის აღმასკომებში. რაიაღმასკომების პრეზიდიუმების სხდომებზე დღეს ძირითადი ყურადღება არჩევნებისათვის მზადების საკითხებს უნდა ჰქონდეს მიპყრობილი.

ჩხარის რაიაღმასკომმა გვიან გაიგო საარჩევნო დებულების შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბების საჭიროება. მას 9 სექტემბერს განუხილავს წრეების ჩამოყალიბების საკითხი. მანამდე რა აკეთეს, რას შვრებოდნენ? ასეთ პირობებში ჩხარის რაიაღმასკომს არჩევნებისათვის მზადების რა წარმატებაზე შეუძლია ლაპარაკი?

საქართველოს ზოგიერთი რაიონის აღმასკომი ძლიერ სუსტად ხელმძღვანელობს საარჩევნო უბნების გამოყოფას. პირველ რიგში ეს ითქმის თბილისისა და ალბულაღის რაიაღმასკომებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ დასახელებული რაიონების პარტიული ორგანიზაციები რაიაღმასკომების და სოფსაბჭოების მუშაობას არ ხელმძღვანელობენ. მდგომარეობის ასე გაგრძელება შეუწყნარებელია. რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა აქედან შესაფერისი დასკვნები უნდა გააკეთონ.

ს. მოისწრაფიშვილი

ვსწავლობ ახალ საარჩევნო კანონს

კაცობრიობის ისტორიაში უდიადეს იდეალებს—ძმობას, ერთობას და თანასწორობას ხორცი შეესხა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

ის, რაც ბურჟუაზიულ რევოლუციებში ცრუ დაპირებებს წარმოადგენდა, ჩვენში სინამდვილედ იქცა.

ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე გრძნობს, რომ მას აქვს თავისი საკუთარი სამშობლო, რომლის სრული ბატონ-პატრონია, და იბრძვის მისი აღორძინებისა და აყვავებისათვის.

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში, პროლეტარიატის ამ ერთადერთ სამშობლოში, მხილებულ და განადგურებულ იქნა ხალხის მტრების, სამშობლოს გამყიდველების, ჯაშუშებისა და არამზადების ბანდა, რომელიც ცდილობდა გაენადგურებინა და ფეხქვეშ გაეთელა ხალხის ეს უდიდესი უფლებები, კიდევ უფრო საყვარელი და ძვირფასია ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის ჩვენი ახალი და სამაყო საარჩევნო კანონი.

მე გულდასმით ვსწავლობ ახალ საარჩევნო კანონს და ვემზადები არჩევნებისათვის, რათა ხმა მივცე ისეთ დეპუტატს, რომელიც ბოლომდე ერთგული და თავდადებული იქნება ლენინ-სტალინის დიადი საქმისა, დაე იცოდნენ ფაშიზმის ქოფაკებმა, რომ საბჭოთა თავისუფალი ადამიანი დაიცავს თავისი თავისუფალი სოციალისტური სამშობლოს კონსტიტუციას, მის შემომქმედს, ხალხთა მამას, მეგობარსა და მასწავლებელს—დიდ სტალინს და მედგრად დახვდება ყველა იმას, ვინც მოინდომებს ჩვენი წმინდა უფლებების შელახვას.

აკ. ხორავა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი

დასვენების დროს თბილისის დეპოში პროპაგანდისტი ამხ. ბახტაძე უპასუხებს მუშების მიერ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ მიცემულ შეკითხვებზე.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

უზენაესი საბჭოს არჩევნები და ჩვენი სკოლა

ახლო მომავალში სოციალისტური ქვეყნის მშრომელები მიიღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში.

ეს არჩევნები ჩატარდება სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძველზე.

ამ არჩევნებში საბჭოთა კავშირის მშრომელები აირჩევენ თავიანთ დეპუტატებს ფარული კენჭისყრით. ამ არჩევნებში თვითეული მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია ხმის მიცემის სრული საიდუმლოება. ამიტომაც ეს არჩევნები დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის. ფარული კენჭისყრა ჩვენში პირველად ტარდება და ამიტომაც მოითხოვს დიდ მოსამზადებელ მუშაობას. უპირველეს ყოვლისა საჭიროა თვითეულმა საბჭოთა მოქალაქემ ზედმიწევნით შეისწავლოს უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება. საჭიროა თვითეულმა საბჭოთა მოქალაქემ კარგად იცოდეს სოციალიზმის ქვეყნის საარჩევნო კანონი.

საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტების საქმეში სკოლას, როგორც კულტურულ ძალას, დიდი დახმარების გაწევა შეუძლიან. ამ მხრივ ჩვენი სკოლის წინაშეც დიდი საპასუხისმგებლო ამოცანა დგას. სასწავლო წლის დაწყებისთანავე ჩვენს სკოლაში მასწავლებელთა შორის დაიწყო უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა. მასწავლებლობა, გრძნობს რა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ამ არჩევნებში, დიდი ინტერესით სწავლობს საარჩევნო კანონს, მეცადინეობაზე მოდის მომზადებული. მასწავლებელთა წრის გარდა, წრეები ჩამოყალიბებულია დამლაგებელთათვის ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. სკოლა შეუდგა დებულების დამუშავებას მოწაფეთა შორის. მოწაფეებში საარჩევნო კანონი მუშავდება ცალკე კლასების მიხედვით. მოსწავლე ახალგაზრდობას შეუძლიან ჩაატაროს დიდი ახსნა - განმარტებითი მუშაობა, განსაკუთრებით არაორგანიზებულ მასაში. მოსწავლეებს შეუძლიათ არჩევნების დღეს უზრუნველჰყონ თავიანთი დედების, მამების, დების და სხვათა უკლებლივ გამოცხადება. ამიტომაც მათთან ამ მხრივ მუშაობის გაშლას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ბოლო ხანებში წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებს სათანადო რაოდენობით არა აქვთ „დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, განსაკუთრებით რუსულ ენაზე, რაც, რასაკვირველია, აფერხებს მუშაობას. ეს ნაკლი დროზე უნდა გამოსწორდეს. ჩვენი სკოლის მასწავლებლობამ, არჩევნებთან დაკავშირებით, აიღო ვალდებულება გაშალოს აგიტაცია არა მარტო სკოლის ფარგლებში, არამედ სკოლის გარეთაც — მოსახლეობაში, აქტიურად დაეხმაროს რაიონულ საბჭოს მოსამზადებელ მუშაობაში, ამომრჩეველთა სიების შედგენაში და სხვ. ჩვენი სკოლის მუშაკები პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან სკოლის გარეთაც. მაგალითად, მე მყავს ერთი წრე დიასახლისებისა. წრეში გაერთიანებულია 20 დიასახლისი, ჩატარებულია 4 მეცადინეობა, მსმენელთა დასწრება კარგია. დიასახლისები დიდ ინტერესს იჩენენ დებულების შესწავლისადმი. მათ განსაკუთრებით აინტერესებთ არჩევნების ტექნიკა. დიასახლისებთან მუშაობა ერთობ ძნელია. საქმეს ის ართულებს, რომ სახლებში არ არის შესაფერისი ადგილი მეცადინეობისათვის. მეცადინეობა გვიხდება აივანზე, სადაც ბავშვებიც თამაშობენ და, ცხადია, ეს ხელს გვიშლის. ძნელდება თვალსაჩინო ხელსაწყოების გამოყენება, მაგალითად, გეოგრაფიული რუკების. ხელს გვიშლის აგრეთვე წიგნების უქონლობა. დიასახლისები უზრუნველყოფილი არ არიან „დებულებით“ და სხვა ლიტერატურით.

ბენ. ბარამიძე

მე-17 სკოლის დირექტორი

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

27 სექტემბერს

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ახალი პროგრამა პარტიული წრეებისათვის“. კონსულტანტი რუსულ ენაზე ამხ. ლიუდვიგოვი, ქართულ ენაზე — ამხ. არომიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

27 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე პიონერთა კლუბში (ლენინის ქ. № 3) ორჯონიკიძის რაიონის პარტკომების მდივნებისა, პარტორგებისა, მათი მოადგილეებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება ამხ. ბედიას მოხსენება თემაზე: „საბჭოთა კავშირის საარჩევნო სისტემა და ეროვნებათა უფლებების უზრუნველყოფა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

ცნობები კოლმეურნეობებიდან

უვარგისი ბრიგადირი

მახარაძე. სოფ. შრომის კოლმეურნეობის მეთერთმეტე ბრიგადის ბრიგადირი ვლადიმერ ქვილორია უხეიროდ მუშაობს. მისი ბრიგადის 3 ჰექტარი ჩაის პლანტაცია შეუღობავია და პირუტყვისაგან ნადგურდება. ქვილორია სხვა ბოროტმოქმედებასაც სჩადის. მან სხვისგან ნაყიდი ხილი ამასწინათ ისიდორე კვაჭანტირაძეს ფოთში გაატანა კოლმეურნეობის ხარებით და გააყიდვინა. სპეკულაციით მოგებული ფული მათ ერთმანეთში გაინაწილეს.

ქვილორიას ოჯახში 4 მუშა-ხელი ჰყავს, მაგრამ მის გარდა კოლმეურნეობის სამუშაოზე არცერთი არ გამოდის. ასე ფიქრობს ის შრომის დისციპლინის „განმტკიცებას“.

ა. თოდრაძე.
გ. მეტრეველი.

○

მიწის სარგებლობის სახელმწიფო აქტის ჩაბარება

ორჯონიკიძე. 27 აგვისტოს სოფ. ვერტყვილის კოლმეურნეობამ ჩაიბარა მიწის სარგებლობის სახელმწიფო აქტი. კოლმეურნეებმა ეს დღე ზეიმით აღნიშნეს. მოაწყეს საზეიმო სხდომა, გამართეს ცეკვა-თამაში და სიმღერა. მოხუცი კოლმეურნენი თავიანთ სიტყვებში იგონებდნენ ძველს დროს, როცა ისინი თავად-აზნაურთა მიწებს ამუშავებდნენ, დღედაღამ შრომობდნენ, ხოლო შრომის მონაგარი სხვას მიჰქონდა.

ამჟამად კოლმეურნეობას სულ 554 ჰექტარი მიწა აქვს.

გ. ლურსმანაშვილი.

○

შარშან—3. წელს—16

აბაშა. ონტოფოს ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს. დაიწყო მზადება უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. შეკეთებულია ურმები. ფარდულები და ბეღლები. შარშან თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეებს 3 კილოგრამი სიმინდი ერგოთ, წელს კი ყოველგვარი ფონდების გამოყოფისა და ნატურანაზღაურების გადახდის შემდეგ შრომადღეზე მიიღებენ, სულ ცოტა, 16 კილოგრამ სიმინდს.

პ. ონტოფელი.

○

დაბალი ხარისხის ჭარხალს აბარებენ

გორი. პატარა-გარეჯვრის, მეღვრეკისის, ფხვენისის, ხელთუბნისა და არაშენდის კოლმეურნეობები გორის მიმღებ პუნქტს გაუწმენდავ შაქრის ჭარხალს აბარებენ. როგორც ეტყობა, აგრონომები ნაკლებ მეთვალყურეობასა და ხელმძღვანელობას უწევენ ამ კოლმეურნეობებს ჭარხლის აღებაში.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში არც გზებია რიგიანად შეკეთებული. მაგალითად, მეჯვრისხევის გზაზე ბერბუკსა და ხელთუბნის შუა ისეთი ორმოებია, რომ ავტომანქანები მათი მიზეზით ზედმეტად რამდენიმე საათს ჰკარგავენ. გზები შეუკეთებელია აგრეთვე კარალეთში და დიდსა და პატარა გარეჯვარში.

გ. ჭიხაშვილი.

○

გერანი ზესტაფონში

ზესტაფონი. პირველი სვირის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში წელს პირველად მოეწყო გერანის საცდელი ნაკვეთი. კოლმეურნეებმა ამ ახალ კულტურას სანიმუშოდ მოუარეს და შედეგიც კარგი მიიღეს — გერანის ყოველი ტონა ნედლი მასალიდან 1,2 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ზეთი გამოხადეს.

საცდელმა მუშაობამ დაადასტურა ზესტაფონის რაიონში გერანის ფართოდ გავრცელების შესაძლებლობა. კილოგრამი გერანის ზეთი 700 მანეთს ფასობს. გერანის 1 ჰექტარ პლანტაციაზე კოლმეურნენი 17-18 ათას მანეთს მიიღებენ.

ვ. გოგიაშვილი.

მოწინავე ბრიგადები

ზუგდიდი. სოფ. ხაბუმის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მესამე და მეოთხე ბრიგადებმა ჩაის კრეფის წლიური გეგმა ხარისხის დაცვით ჯერ კიდევ აგვისტოს ბოლო რიცხვებში შეასრულეს. მესამე ბრიგადას წლის განმავლობაში უნდა მოეკრიფა სულ 15.664 კილოგრამი ჩაი, 1 სექტემბრისათვის კი მოკრეფილი ჰქონდა 16.512 კილოგრამი. კოლმეურნეობის სტახანოველები — ოლღა ჩიქოვანი, კუკუ შენგელია და სხვები დღიურად 17—20 კილოგრამ ჩაის ჰკრეფენ.

კოლმეურნეობას წელს სახელმწიფოსაგან უნდა მიეღო ჩაის ფასად 156.708 მანეთი. ჯერ კრეფა არ დამთავრებულა და უკვე მიღებული აქვს 162.944 მანეთი. კოლმეურნენი თავდადებით მუშაობენ იმისათვის, რომ წელს გეგმის ზევით სახელმწიფოს ჩააბარონ, სულ ცოტა, 10.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი.

ი. შენგელია.
ჯ. შენგელია.

○

ცხვარს კარგად უვლიან

სიღნაღი. სოფ. ზემო-ბოდბის კოლმეურნეობა „ნაპერწკლის“ მეცხვარეობის ფერმა ამჟამად აბულის იაილაღებზე იმყოფება. ფერმაში 36 მწყემსი მუშაობს, რომლებიც ურთიერთშორის სოცშეჯიბრებაში არიან ჩაბმული. ცხვარს კარგად უვლიან. სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს მწყემსები პირნათლად ასრულებენ.

ფერმამ გადაჭარბებით შეასრულა ყველის დამზადების გეგმა. უკვე დამთავრდა ბატკნის პარსვა. მწყემსებთან სამუშაოდ კოლმეურნეობას გამოყოფილი ჰყავს სპეციალური კულტმუშაკი, რომელიც სისტემატურად უკითხავს მათ ჟურნალ-გაზეთებს, პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას.

ს. ლეკიაშვილი.

კოლმეურნეობა წინ მიდის

ბორჯომი. სოფ. ჯობისხევის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მუშაობა წლითი-წლობით უმჯობესდება. ეს სოფელი, რომელიც წინათ ერთერთ მივარდნილ კუთხეს წარმოადგენდა, ახლა მთელ რაიონში მოწინავე გახდა. კოლმეურნეთა სახლებს მალე გაანათებს ელექტროსინათლე, რომელსაც მათ მდ. ძვირაზე აგებული საკოლმეურნეო ჰიდრო-ელსადგური მიაწვდის.

კოლმეურნეობამ წელს 8 ახალი სასიმინდე და ფართო მოცულობის სასილოსე ორმო გააკეთა. მალე დამთავრდება საერთო ბოსლის აგებაც. მოწყობილია თევზის ხელოვნური სამოშენებლო. აქვთ კარგი ბოსტანი და ხეხილის ბაღი. შეიძინეს 150 სული ჯიშიანი ცხვარი, იძენენ ჯიშიან ღორებსაც. კოლმეურნეობას მალე ექნება საკუთარი ავტომანქანა. გაჩაღებულია გზების შეკეთება და გაფართოვება, კოლმეურნენი მონდომებით მუშაობენ საკავშირო სას-სამ. გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

გ. სარალიძე.

○

ახალ ჭარხალს იღებენ

გორი. ტირძნისის კოლმეურნეობა „კავკასიონმა“ 270 ჰექტარ ფართობზე ხორბლეული დროულად და უდანაკარგოდ აიღო. ი. ტეტუნაშვილის, ვ. ნასყიდაშვილის, დ. გოგინაშვილისა და მ. სამადაშვილის ბრიგადებმა ხორბალიც დააბინავეს და ბზეც.

კოლმეურნენი ახლა გამალებით მუშაობენ შაქრის ჭარხლის აღებაზე. მუშაობის დაწყების წინ მათ შეაკეთეს სასოფლო გზები და წესრიგში მოიყვანეს ტრანსპორტი.

წელს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალია.

ბ. ტეტუნაშვილი.

გაიზარდა ჩაის მოსავლიანობა

ქობულეთი. ჩაქვის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ვადაზე, მაღალი ხარისხით და გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმები. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 3.410 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო, წლიური გეგმა 15 სექტემბრისათვის 101,3 პროცენტით შეასრულა და იკისრა დამატებით მოკრიფოს სექტემბერში 13.000 კილოგრამი.

წარმატებით ასრულებს გეგმას კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერიც“, რომელმაც ჰექტარზე მიიღო საშუალოდ 3.800—4.000 კილოგრამი ჩაი. ამ კოლმეურნეობაში ქრისტეფორე მერიცილის ბრიგადას კრეფის გეგმა 122 პროცენტით აქვს შესრულებული.

აქაურმა კოლმეურნეობებმა წელს ჩაის პლანტაციები ოთხჯერ გათოხნეს, წესიერად გაანოყიერეს და მოკრიფეს. სწორედ ამ ღონისძიებებმა უზრუნველჰყო ჩაის მოსავლიანობის გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება.

ალ. ახალაძე.

○

დაამყნეს და გაახარეს

ქობულეთი. ჩაქვის სოფლსაბჭომ ნარინჯოვანთა მყნობის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. 167 ათასი ძირის ნაცვლად დამყნილია 175 ათასი. ნამყენთა გახარება 99 პროცენტს აღწევს. მყნობამ განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. მყნობაში თავი ისახელეს ფ. მიხაილიძემ, ა. კაკაბაძემ, ა. ლომთაძემ, ს. ლამბარაძემ, რომლებიც დღიურ ნორმას 150-200 პროცენტით ასრულებდნენ.

კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ მზადებას ნარინჯოვნების გაზამთრებისათვის.

ა. ახალაძე.

სამკერვალო სახელოსნო
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა
(მალაკნის ქ. № 3)

აცხადებს, შემკვეთლების საყურადღებოდ რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შეკვეთები: პალტოები ქალისა და კაცისა, კაცის კოსტუმები და ქალის კაბები, დამზადებული ა. წ. 20 სექტემბრისათვის, გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა.

აღნიშნული ვადის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება და არავითარი პრეტენზია არ მიიღება.

1715 2100 1824 1491 1451 1931 1160 1941 2411 2463 2462
1508 1934 2033 1062 2340 2023 2094 2471 1947 1927 2508
2401 2175 2040 1383 2349 2571 2420 2037 2350 2353 2356
2076 2452 1783 2441 1939 2305 2184 2453 1720 1736 1880
2328 2448 2161 2384 2311 1901 2134 2422 2467

შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთებიც—გიმნასტიორკები, შარვლები, კაბები და იუბკები, რომლებიც მზად არის 20 სექტემბრამდე, აგრეთვე გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში.

1234 ადმინისტრაცია.

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს საგუნდო-საანსამბლო გაერთიანება

აცხადებს, რომ სახელმწიფო საბავშვო კაპელაში (მომღერალთა გუნდში) მისაღები გამოცდები იწარმოებს 1, 2 და 3 ოქტომბერს ხალხური შემოქმედების კაბინეტის შენობაში (მახარაძის ქ. № 8), საღამოს 5-დან 7 საათამდე.

განცხადების მიღება ყოველდღე 10—4 საათ. იმავე მისამართით.

17382 3-2 საგუნდო-საანსამბლო გაერთიანების დირექცია.

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაისახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია ამით აცხადებს, რომ 1937 წ. 1-ლ ოქტომბერს, დღის 2 საათზე, თბილისში, კამოს ქ. № 20 სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

თბილისის ტყემრეწველობის ქონებას: ერთ დივანს, წიგნის შკაფს, ერთ ვენტილატორს, ერთ ქართულ და ერთ რუსულ საწერ მანქანებს და რვა საწერ მაგიდას. ქონება შეფასებულია 21.500 მანეთად და გაიყიდება შინსახკომის სავაჭრო-საწარმოო სამმართველოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქ. სახ. არბიტრაჟის მიერ 1937 წ. 10 ივნისს გაცემულ ბრძანებისა № 3/652.

17383

საქართველოს მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი

აცნობებს კავშირის ყველა საოლქო, სარაიონო და ადგილობრივ ორგანიზაციებს და ყრილობის ყველა დელეგატს, რომ თანახმად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა, კავშირის ყრილობა გადადებულია, მოწვევის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

17387 საქ. მედსანშრომის მუშაკთა პ/კ ცენტრალური კომიტეტი.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8929